ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს და შაბათს

№32 (1542) 1–5 აპრილი 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ საათს, როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

# ქართული ჯარი ენგურზე გადავიდა, არძინბა მიმალვაშია!..

უშედეგო არ აღმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის მოსკოვის სამიტზე წასვლა. ქართულმა მხარემ დსთ–ს პრეზიდენტების შეკრებაზე მთელი კატეგორიულობით დასვა რუსეთის სამშვიდობო ჯარების აფხაზეთიდან გასვლის საკითხი. ქართული მხარის განცხადებით, ე.წ. სამშვიდობო ჯარები ამყარებენ არა მშვიდობას, არამედ ეწევიან ქართულ მოსახლეობაზე გააფთრებულ ნადირობას, რომ ისინი არათუ ასრულებენ მათზედ დაკისრებულ მისიას, არამედ გვევლინებიან არძინბას ბანდ ფორმირებების დანამატად.

2

## კახა თარგამაძე:

# გიგა გელაშვილი აყვანის დროს იარაღის გამოყენებას ეცადა...

2



„მე ბოლომდე არ მჯერა, რომ ჯოხარ დუდაევი მკვდარია“ — ამბობს ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრი

# ჭაჭია გვაშინებს...

3

● ნაზრანული შთაბეჭდილებებიდან

## ვაინახები გამსახურდიასა და შევარდნაძეს უდიდეს პატივს სცემენ

შარშან გაზაფხულზე, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ რუსეთის ავიაციის სარაკეტო დარტყმის შედეგად დაიღუპა იჩქერიის პირველი პრეზიდენტი, გენერალი ჯოხარ დუდაევი. მაშინ ძალიან ბევრმა ადამიანმა არ დაიჯერა დუდაევის გარდაცვალების ფაქტი. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს ეჭვი მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში „მკვდრეთით აღმდგარი“ სალმან რადუევი გამოჩნდა. ასეა თუ ისე, დღეს თითქმის დადასტურებულ ფაქტად ითვლება, რომ დუდაევი ამქვეყნად აღარ არის. სამხედრო ექსპერტებმა თითქმის ზუსტად დაადგინეს, რომ დუდაევი დაიღუპა მობილური კოსმოსური კავშირის ტელეფონზე საუბრის დროს, რამაც საშუალება მისცა რუსეთის სპეცსამსახურებს დაეფიქსირებინათ მათი №1 მოწინააღმდეგის ზუსტი ადგილმდებარეობა.

დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო...

ჟურნალისტს ყოველთვის იმაზე მეტი აინტერესებს, რაც საყოველთაოდ არის ცნობილი და ინგუშეთში ყოფნის დროს, ცხადია, მეც მსურდა გამეგო, თუ სად იმყოფება ჩეჩენთა ლიდერის საფლავი და მომეპოვებინა დამატებითი ცნობა მისი სიკვდილის თაობაზე. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მუხარბეკ აგიევმა მოულოდნელად მომიგო, რომ მას ბოლომდე არ სჯერა ჯოხარ დუდაევის სიკვდილი.

კი, მაგრამ, მაშინ როგორ გავიგოთ, მისი ქვრივის, ალა დუდაევას განცხადება, რომელმაც დაადასტურა ქმრის დაღუპვის ფაქტი–მეთქი, – შევეკითხე ჩემს თანამოსაუბრეს. „რაც შეეხება ალა დუდაევას განცხადებას, მე ამაზე კო-

3

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №31

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ჯარი ენგურზე გადავიდა, არძინბა მიმალვაშია!..

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ სამშვიდობო ჯარები დაუყოვნებლივ არ დასტოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას, საქართველო დასვამს საკითხს რუსეთის ჯარების საერთოდ საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანისა და საქართველოს ესენგედან გამოსვლის, ნატო–ში გაწევრიანების შესახებ!

ამ პრინციპულმა პოზიციამ, რომელსაც სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, მხარი დაუჭირა ესენგეს ყველა ქვეყნის მეთაურმა, გარდა რუსეთის, ბელორუსისა და სასომხეთისა, შედეგი გამოიღო.

ელცინი იძულებული გახდა (მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტიც ბილ ქლინთონი უშუალოდ ჩაერია ამ საკითხში) დაუყოვნებლივ გაეწვია ე.წ. სამშვიდობო ჯარები აფხაზეთიდან, რისი შედეგიც არის ის, რომ დღეს, გამთენიისას, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გადალახეს ენგური და უმსხვერპლოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონები.

არძინბას თვითმარქვია ხელისუფლება დემორალიზებულია, თვით არძინბა მიმალვაშია და როგორც სარწმუნო წყაროები იწრმუნებიან, მინსკში პრეზიდენტ ლუკაშენკოს ერთ–ერთ ქალაქგარე რეზიდენციაში იმყოფება.

ქართული ჯარის ძლევამოსილი წინსვლა ფსოუს მიმართულებით გრძელდება.

საააგენტო „აფრინდა“
1997 წელი. 1 აპრილი

# ვინ ვინ არის?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# კახა თარგამაძე:

# გიგა გელაშვილი აყვანის დროს იარაღის გამოყენებას ეცადა...

*საუბრობენ გაზეთ „საქართველოს“*
*მთავარი რედაქტორი*
**ნოდარ გრიგალაშვილი**
*და საქართველოს შინაგან საქმეთა*
*მინისტრი*
**კახა თარგამაძე**



*ნ.გ. – დღეს თქვენი პატიმარია თქვენი ყოფილი მინისტრი, ერთ-ერთი პირველთაგანი მხედრიონელი თემურ ხაჩიშვილი, რომელსაც თავის დროზე შეეძლო თქვენი კაბინეტში გამოძახება და ამა თუ იმ დავალების მოცემა.*

*პატიმრის საკანშია კაცი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იმ სავარძელში იჯდა, რომელშიც ახლა თქვენ ბრძანდებით. თუ გქონდათ მისი დაპატიმრების შემდეგ მასთან პირადი შეხვედრა? ეს შეხვედრა, პირველ რიგში, მაინტერესებს ფსიქოლოგიური მუხტის თვალსაზრისით... კოლეგები ხვდებით ერთმანეთს სხვადასხვა როლში, ჰქონდა თუ არა რაიმე განცდა ადამიანური, ემოციური თვალსაზრისით, თუ იმდენი უჭირს რამე უკვე, რომ ასეთ „მცირე რამეებს“ უკვე ველარც განიცდის?..*

კ.თ. – თუ არ ვცდები, ჩვენ ორჯერ შევხვდით ერთმანეთს, ორივეჯერ შეხვედრა მოხდა იზოლატორში. როდესაც მე ჩავედი იზოლატორში, ვინაიდან მან ერთი პერიოდი შიმშილობაც გამოაცხადა და მას ვთხოვე, რომ მიეტოვებინა შიმშილობა, რათა მისი ჯანმრთელობა არ შერყეულიყო, ვუთხარი, რომ მაქსიმალურად დახმარებოდა გამოძიებას და ეთქვა ყველაფერი ის, რაც. ბურუსით იყო მოცული. რაც შეეხება გარკვეულ უხერხულობებს, ჩემთვის იყო ეს უხერხულობები, შეიძლება მისთვისაც იყო მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიმჩნევია მისთვის არაფერი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი თვითონ პიროვნებაზეა დამოკიდებული. კაცმა ისეთი საქმე არ უნდა ჩაიდინოს, რომელსაც ასეთი ბოლო ექნება. კაცი, რომელიც ასეთ მძიმე დანაშაულებებში იღებ მონაწილეობას, რაღა უნდა გქონდეს სათქმელი? რა თქმა უნდა, იგი ყოველნაირი ხერხებით და საშუალებებით ცდილობს, რომ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, მაგრამ საკმაოდ ბევრი მტკიცებულება და საკმაოდ ბევრი მასალაა მოპოვებული მისი დანაშაულებრივი ქმედებებისა. ცხადია, საბოლოო სიტყვას სასამართლო იტყვის დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ მას არც კაცური და არც მორალური უფლება არ ჰქონდა ჩვენთვის რაიმე საკითხზე თხოვნით მოემართა. სხვათა შორის, ის არც ისეთი გულუბრყვილო კაცია, რომ ჩვენთვის რაიმე ეთხოვა და ჩვენის მხრიდან რაღაც დათმობის იმედი ჰქონოდა. იგი ხომ უმძიმეს დანაშაულში იქნა მხილებული. მან შესანიშნავად იცის, რა აქვს ჩადენილი. ბრალდებათა ნუსხა არ არის მხოლოდ ის, რაც ქაღალდზეა დაფიქსირებული, არამედ ისიც, რაზეც ჩემსა და მას შორის შედგა საუბარი. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, კარგად არის ცნობილი, თუ რა აქვს მას ჩადენილი. საერთოდ, ყველაფრის მტკიცებულების მოპოვება ვერ ხერხდება ხოლმე გამოძიების გზით. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყანაში. ხშირად გამოძიება ვერ აგროვებს იმ მტკიცებულებებს, რაც არსებობს გადამოწმებული ოპერატიული გზით. რისი დადასტურებაც არ მოხერხდება, არ გადადის ბრალდებაში და არ შეიძლება წაუყენო პიროვნებას. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ბევრად უფრო მეტი რამ არის ცნობილი, ვიდრე, ვთქვათ, მას აქვს წაყენებული ბრალდებაში და ეს მანაც შესანიშნავად იცის. ჩვენი საუბრის დროსაც შესანიშნავად გამოჩნდა ეს. მე უბრალოდ მართალი ვიყავი მის წინაშე და არა მარტო მის წინაშე, არამედ ქვეყნისა და ერის წინაშე.

*ნ.გ. – პრესამ და მათ შორის ჩემმა გაზეთმაც გამოაქვეყნა ჩვენებები, გელაშვილის, გოგოტიშვილის, სხვათა და სხვათა დაპირისპირების ოქმები ჯაბა იოსელიანთან. ისინი ფაქტიურად ყველაფერს აღიარებენ, ჩვენებებში ლაპარაკი იყო იმაზეც კი, 29 აგვისტოს თუ ვინ დააჭირა პულტს ხელი, როგორ მოხდა, როგორ დაიგეგმა ტერაქტი. ჩვენებებში ლაპარაკი იყო სხვა მკვლელობებთან დაკავშირებით, აღიარება ბორჯომის საქმესთან დაკავშირებით და ა.შ. იბადება კითხვა: ეს გამოცდილი ხალხი – აი, მაგალითად, ხაჩიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, მინისტრი იყო და დაკითხვაზე რა უნდა თქვას, ან არ თქვას, ეს სხვა პატიმრებზე უკეთესად იცის. ასევე სხვებიც კარგად გათვითცნობიერებული ხალხი გახლდათ. ზოგიერთი მათგანი სახელმწიფოში პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ და ქვეყანას მართავდნენ. ჩნდება ეჭვი, თუ არ იყო წამება, თუ არ იყო ზეწოლა, თუ არ იყო ტანჯვით ჩვენების ამოღება, რატომ აღიარეს მათ დანაშაული, რითაც, ფაქტობრივად, დახვრეტაზე მოაწერეს ხელი?*

კ.თ. – მე ბოლო ნაწილიდან დავიწყებ პასუხის გაცემას. იყო თუ არა ტანჯვა–წამება. გამორიცხულია. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. რა აზრი აქვს ჩვენებას, რაზედაც მტკიცებულება არ გაგაჩნია? ფიზიკური ზეწოლით მიღებული ჩვენება, რომელსაც ადვოკატი არ ესწრება, გამორიცხულია, რომ იქნეს გამოყენებული, უფრო მეტიც, თითქმის უმეტესი აღიარებითი ნაწილი ვიდეოკასეტებზეა ჩაწერილი. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ვიდეოკამერით იწერ და ამ დროს კაცს ტანჯავ და აწამებ. სვათაშორის, არ დავმალავ იმასაც, რომ ბევრი მათგანი ოპერატიული გზითაც არის გადაღებული.

*ნ.გ. – შეგიძლიათ ვიდეოკამერებზე გადაღებული რამდენიმე ჩვენება მაჩვენოთ?*

კ.თ. – რა თქმა უნდა, გაჩვენებთ. თუ საჭირო იქნება, ჩვენ სასამართლო პროცესზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ ეს ყველაფერი. როგორც ხშირად ხდება სასამართლოში, ალბათ, დაიწყებენ, რომ მაწამეს და მტანჯესო. ამის გამო, გათვალისწინებული იყო ეს მომენტები და ყველაფერი ვიზუალურად დაფიქსირებულია. საქმე იმაშია, რომ ეს ლაპარაკობს იმ ხალხის პროფესიონალიზმზე, ვინც გამოძიების პროცესში მუშაობდა. ჩვენ გვქონდა ზღვა გადამოწმებული ოპერატიული ინფორმაციები მანამ, სანამ ეს დანაშაულობები გაიხსნებოდა. თქვენ ბორჯომის საქმე ახსენეთ. ბევრი ტერაქტში მხილებული პირი სხვადასხვა სახით მონაწილეობდა ბორჯომის საქმეში. უკვე გრძნობდნენ, რომ ჩვენ მივდიოდით შემსრულებელთა დაპატიმრებაზე. ორგანიზატორებმა ხომ იცოდნენ, რომ დაპატიმრებული გვყავდა რამდენიმე შემსრულებელი პიროვნება. იგივე გელაშვილზე და სხვებზეც ჩვენ უკვე სანქციები გვქონდა გაცემული. მიხვდნენ ისინიც, რომ ჩვენ უკვე კონკრეტულ დანაშაულობებზე გავდიოდით და შეეცადნენ დაეჩქარებინათ 29 აგვისტოს ის ტერორისტული აქტი, რაც უფრო მოგვიანებით ჰქონდათ დაგეგმილი... ახლა რაც შეეხება მათ „წამებას“. იცით, დღე არ გასულა თითქმის, შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ არ მოსულიყო ადამიანის უფლებების დაცვის უამრავი ორგანიზაცია, რომლებიც არ შეხვედროდნენ ამ პირებს და საუბრები არ ჰქონოდათ. ამ შემთხვევაში, მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ გააკეთებდა იმას, რაც საქართველომ გააკეთა. ვერც ერთმა პიროვნებამ, ვინც ზემოთ არიან დასახელებულნი, ვერ თქვა მათთან შეხვედრისას, რომ წამებას, ტანჯვას ან ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

მე გარწმუნებთ, არავითარი ზემოქმედება, გარდა იმისა, რომ ჩვენ მოპოვებული გვქონდა სრული მტკიცებულებები, სრული მასალები მათი დანაშაულობებისა, არ ყოფილა. ეს პირები იძულებული იყვნენ კონკრეტული ფაქტების და კონკრეტული მტკიცებულების წარდგენის შემდგომ ეღიარებინათ ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს.

*ნ.გ. – „მხედრიონს“ უფრო დიდი შეიარაღება ჰქონდა, ვიდრე პოლიციას. რა რისკის ფასად და კონკრეტულად როგორ მოხდა მხედრიონის ლიდერების აყვანა ან სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელები სად და რა ვითარებაში დაიჭირეთ?*

*გოგა გელაშვილის ან ხაჩიშვილის დაპატიმრება მთლად რისკის გარეშე არ მოხდებოდა.*

კ.თ.– რა თქმა უნდა, ჩვენს საქმეს ყოველთვის ახლავს რისკი. რისკი უნდა დაიყვანოს ოპერატიულმა მუშაკმა მინიმუმამდე, მათ შორის ისეთი პიროვნებების დაპატიმრების დროს, როგორებზეც ჩვენ გვქონდა საუბარი. გოგა გელაშვილი დაპატიმრებული იქნა საბურთალოს პოლიციის შენობაში. ის უკვე რამოდენიმე დღის განმავლობაში იმალებოდა, მას აღმოაჩნდა ქალის პარიკიც კი. ჩვენი ინფორმაციით ის ტოვებდა რესპუბლიკას და ჩვენ, რა თქმა უნდა, გარკვეულ ღონისძიებებს ვატარებდით მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის მიზნით. მივიღეთ ინფორმაცია, რომ ის ტოვებდა ქალაქს და უნდა გაევლო საბურთალოს პოლიციაში, კონკრეტულ პიროვნებასთან შეხვედრის მოტივით. ჭირდებოდა რაღაც გარკვეული ინფორმაციების მიღება. ამ მომენტში იგი ჩვენ მეთვალყურეობის ქვეშ გვყავდა აყვანილი და ამავე დროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი პირების მიერ იქნა აყვანილი. მას ჰქონდა მცდელობა იარაღის გამოყენებისა, რომელიც, საბედნიეროდ, მხოლოდ მცდელობად დარჩა, ის განიარაღებულ იქნა. ყველაფერს, რა საქმეც არ უნდა იყოს, თავისი პროფესიონალიზმი სჭირდება... ის ცოდნა,რაც ჩვენს თანამშრომლებს გააჩნიათ, მას არ გააჩნდა... მისი აყვანა ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოხდა, სხვათა შორის, იმავე დღეს ერთი საათით ადრე მოხდა ხაჩიშვილის დაპატიმრება შემდეგნაირად...

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №30–31

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თუ თქვენ გისმინეს...

აფხაზეთი არ დაუშვებს მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზებას, რომლებიც მასთან შეუთანხმებლად მიიღეს, - განაცხადა აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა სოკრატ ჯინჯოლიამ. მისი თქმით, სამიტის გადაწყვეტილებებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გართულების გამოწვევა და სამხედრო მოქმედებების განახლება შეიძლება მოჰყვეს. აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უნდა შეწყდეს საქართველოსთან მოლაპარაკებები, უარი უნდა თქვან რუსეთის საშუამავლო მისიაზე და უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი აფხაზეთის სრულ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

აფხაზი სტუდენტები საქართველოსთან მოლაპარაკებების შეწყვეტას მოითხოვენ. სოხუმში გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა მიიღო 200 ათასზე მეტმა სტუდენტმა. ისინი მიუღებლად მიიჩნევენ მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებას აფხაზეთში უსაფრთხოების ზონის გაფართოების შესახებ. (ბი ჯი აი)

## აფხაზები ატარებენ სადამსჯელო ოპერაციებს

25 ათასამდე დევნილი დაბრუნდა გალის რაიონის განაპირა სოფლებში. ამ სოფლებს ბოევიკები არ ეხებიან, მაგრამ ზედა ზონის სოფლებში აფხაზეთის პოლიცია გამუდმებით ატარებს სადამსჯელო ოპერაციებს და აყვანილი ქართველების გამოსასყიდად 500 ათას რუბლს ითხოვენ. გალის წყალსაცავიდან ზღვის სანაპირომდე მომზადებულია საფორტიფიკაციო საშუალებები, განლაგებულია საბრძოლო ტექნიკა და დანაღმულია ველები.

## კავკასიური დიალოგი გაგრძელდება

კავკასიური დიალოგი კისლოვოდსკის დეკლარაციისა და თბილისის მანიფესტის ჩარჩოებში გაგრძელდება, - განაცხადა ორშაბათის რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. ამის თაობაზე იგი მოსკოვის სამმიტის დროს ბორის ელცინს მოელაპარაკა. ედუარდ შევარდნაძის თქმით, საქართველოს წინადადებები დსთ-ს ქვეყნების ყველა მეთაურმა მოიწონა. უკრაინისა და შუა აზიის რესპუბლიკების პრეზიდენტებმა დახურულ სხდომაზე პირდაპირ დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება აფხაზეთის ტრაგედიის მოუგვარებლობა. ერთი თვის მანძილზე უნდა შემუშავდეს გეგმა და დაიწყოს გალის რაიონში დევნილების დაბრუნების პროცესი. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში დარჩა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, - აღნიშნა პრეზიდენტმა. (ბი ჯი აი)

## აუცილებელია გამსახურდიას ფენომენის შესწავლა

აუცილებელია ზვიად გამსახურდიას ფენომენის შესწავლა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა - განაცხადა წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და „ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მიერ ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე საზოგადოების წევრმა მაუგლი ჩხიკვაძემ. მისი თქმით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის პროგნოზი ყველაფერში გამართლდა - საქართველოში გაბატონდნენ ბანდიტური კლანები, დაიკარგა ტერიტორიული მთლიანობა.(ბი ჯი აი)

● დისკუსიისათვის თემაზე: „საით მიდის საქართველო!"

# ჭაჭია გვაშინებს...

*გაზეთ „საქართველოს" აწ. №25-27-ში გამოქვეყნდა ქმოსკოვში მოღვაწე ქართველი პოლიტოლოგის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სტატია „გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი" (დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთ „კომუნისტ"შიც" აწ. 20.03 №5 (68)).*

სტატიაში ავტორი განიხილავს საქართველოს მტკივნეულ პრობლემებს, მათ კავშირს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებთან და აკეთებს ფრიად საინტერესო დასკვნებს, რომელთა უმეტესობის სისწორე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არის ისეთიც, რაც ერთობ საკამათოა, ამიტომაც დაიწერა ეს გამოხმაურება.

დავიწყოთ იქიდან, რომ ალ.ჭაჭია ქართულ პოლიტიკურ არენაზე 1995 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა. უფრო ზუსტად - საქართველოში პრეზიდენტის არჩევნების კომპანიის დაწყებიდან, როცა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის საარჩევნო კამპანიას ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია ისიც, რომ ალ.ჭაჭიამ, გამოჩენისთანავე, განსაკუთრებით სატელევიზიო გამოსვლებით, ერთბაშად მიიქცია ყურადღება, როგორც მომხრეთა, ისე მოწინააღმდეგეთა ბანაკში (რაც საქართველოში ერთობ იშვიათი შემთხვევაა. როგორც წესი, ჩვენში მოწინაალმდეგეს ყოველთვის უტვინოდ და არარაობად თვლიან). მისმა - დახვეწილმა პოლიტიკურმა აზროვნებამ და საკუთარი აზრის დეკლამირების შესანიშნავმა ნიჭმა იგი საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ პოლიტიკოსად და შეიძლება ითქვას, ტელეპოლიტვარსკვლავად აქცია. მისგან მოხიბლული ტელემაყურებლები განცვიფრებულნი შლიდნენ ხელებს: „სად იყო აქამდე ეს ლომიო". ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხალხს იგი ჩვეულებრივი, თბილისელი, მეცნიერებაში ხელმოცარული ახალგაზრდა ეგონა. როცა გამოირკვა მისი სამეცნიერო ტიტულებისა და სამსახურებრივი კარიერის ამბები, მისით აღფრთოვანება რამდენადმე შენელდა, რაც ასევე ნაადრევი და არასწორია.

ასეთი ბრწყინვალე დებიუტის გამთამაშებელი საათს არ გააჩერებს და აი, წინ გვიდევს მისი მორიგი სვლა, რომლის პასუხიც სერიოზულ ანალიზს საჭიროებს.

აღნიშნულ სტატიაში იგი სამართლიანად საყვედურობს საქართველოს მთავრობას, რომ მან მოგვახვია: „სხვის კმაყოფაზე ყოფნის, მუქთახორის ფსიქოლოგია და ნელ-ნელა გადაგვაჩვია

გაგრძელება მე-4 გვ.

# 127 მილიონიან იაპონიაში 90 უნივერსიტეტია, 5 მილიონიან საქართველოში კი 250 უმაღლესი სასწავლებელი...

გასაოცარი რამ ხდება საქართველოში - თითქმის ყველა უმაღლეს ცოდნას ღებულობს და არავინ ფიქრობს გახდეს ქვითხურო, დალაქი, ხარატი, ზეინკალი, დურგალი და ა.შ. ურომლისოდაც სახელმწიფო ვერ იარსებებს.

ვითომ სწავლობენ, მაგრამ დილეტანტებად რჩებიან. ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მზარეულმა 3 წელი უნდა ისწავლოს, დალაქმა სამწლიანი სასწავლებელი უნდა დაამთავროს და არა ისე, ჩვენთან რომ იყო, როცა სამთვიანი მოწაფეობით „ეუფლებოდნენ" პროფესიას. ახალგაზრდობის მისწრაფება გასაგებია. მათ მხოლოდ დიპლომი აინტერესებთ და ავიწყდებათ, რომ დიპლომი და ატესტატი ერთია, განათლება და პროფესია კი სხვა.

დილეტანტებს ხელს უწყობს შხამიანი სოკოებივით მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები სასწავლო ბაზისა და საკუთარი ლექტორ-მასწავლებლების გარეშე. 127 მილიონიან იაპონიაში (სადაც, სხვათაშორის, ყველა ბავშვს ორივე ხელით წერას ასწავლიან) 90 უნივერსიტეტია, 56 მილიონიან ინგლისს ასი უნივერსიტეტი აქვს. 5 მილიონიან საქართველოს კი - 250-მდე უმაღლესი სასწავლებელი, პარადოქსია არა? თანაც ნუ დავივიწყებთ, რომ ერთ მოსწავლეზე დღეში ამერიკაში იხარჯება 42 დოლარი, დაახლოებით ასეა სხვა ქვეყნებშიც, ჩვენთან კი 22 თეთრი. შედეგი ცნობილია, იქ ნამდვილ სპეციალისტებს ზრდიან, ჩვენთან კი დიპლომიან დილეტანტებს, რატომ ხდება ასე? ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. „ჩაწყობაა". ამას ხელს უწყობს ლექტორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის გახრწნა-დაცემა - „შენი ჭირიმესათვის" ხომ არ დაწერს ნიშანს? ერთმა ლექტორმა ორიოდე წლის განმავლობაში შეიძინა სამი იმპორტული მანქანა, ორი კეთილმოწყობილი ბინა თბილისის პრესტიჟულ უბანში, იშენებს დიდ კაპიტალურ გარაჟს... საიდან, რა სახსრებით? იციან ასეთების შესახებ და დუმილს ამჯობინებენ, რამეთუ თვითონაც „ცოდვილნი" არიან...

ინგლისის პრინცმა ედვარდმა ვერ ჩააბარა გამოცდა ლონდონის უნივერსიტეტში და დედოფალმა მეორე წელს ქვეყნის შორეულ სასწავლებელში გაუშვა, შერცხვა შვილის უცოდინარობა. ვის გაუბედავდა ლონდონის უნივერსიტეტში „ჩაწყობას", თუმცა დედოფალი იყო. ანდა ის მშობლები მშობლებია, შვილს რომ ნიშნის „ჩაწყობაზე" გარიცხვის მაგივრად ხელს შეუწყობენ?

ერთ-ერთი ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, პროფესორი ბატონი ნ.ქარქაშაძე წერდა, რომ მათთან შემსვლელთა განათლების დონე მარტო წერა-კითხვის ცოდნით ამოიწურებაო. აქ თუ ასეთი მდგომარეობაა, რაღას უნდა ველოდოთ სხვა ფასიანი უმაღლესი სასწავლებლებისაგან?

ის დამახინჯებები და სიყალბე, რაც ახლა ფასიან სასწავლებლებში ხდება - უკან დაუბრუნდება საზოგადოებას. რევოლუციამდელი ქართველი ლექტორ-მასწავლებლები არასგზით არ დაუშვებდნენ ასეთ „ჩაწყობას" და არ დაუწერდნენ დაუმსახურებელ ნიშანს, იმიტომ რომ არ უნდოდათ ახალგაზრდების შეცდომაში შეყვანა, მათი გაუბედურება მოჩვენებითი ცოდნით.

ვინ გაუბედავდა „ჩაწყობას" ივ.ჯავახიშვილს, შ.ნუცუბიძეს, აკ.შანიძეს, გახელედიანს, ნ.კეცხოველს, პ.მელიქიშვილს და ა.შ.

უნდა გადავარჩინოთ საქართველო იმ საზიზღარი და ვითომ უწყინარი „ავთვისებიანი" ავადმყოფობისაგან, რასაც სიყალბე ანუ „ჩაწყობა" ჰქვია სწავლაში.

ჯერი მათზეა, ვისაც ამ საქმის გაკეთება ევალია.

**ანდრო ძოწიაშვილი**

# ვაინახები გამსახურდიას და შევარდნაძეს უდიდეს პატივს სცემენ

პირველი გვერდიდან

მენტარს არ გავაკეთებ. იმას კი ვიტყვი, რომ იგი სამშვიდობოს სწორედ მე და ჩემმა ხალხმა გავიყვანეთ, რისთვისაც მოსკოვში კაი-კაი საყვედურებიც მივიღე. საუბარიც მქონდა მასთან (ა.დუდაევასთან კ.ლ). სწორედ ეს მაძლევს იმის საფუძველს, რომ ეჭვი შევიტანო ჯოხარის სიკვდილში" - მითხრა აგიევმა და საუბარი სულ სხვა თემაზე გადაიტანა. ცხადია, მეც აღარ ჩავძიებივარ მას.

## ვაინახები და საქართველო

ვაინახების გენეტიკური მეხსიერება მათი დევნისა და გენოციდის უამრავ შემზარავ ფაქტს ინახავს. 1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის დღეს, ჩეჩენი და ინგუში ხალხის გარდა, ჩრდილოეთ კავკასიის კიდევ ექვსი ხალხი დედაწულიანად აყარეს და სტალინის ბრძანებით ცენტრალური აზიის სტეპებში უკრეს თავი. გენერალ ერმოლოვის ცნობილი ფორმულა: „კავკასიელების დამორჩილება შეუძლებელია. ისინი უნდა „განადგურდნენ", საბჭოთა იმპერიის საჭეთმპყრობლებმა უფრო პროგრესული ფორმულით „კავკასიელების დამორჩილება შეუძლებელია. ისინი უნდა „გადაასახლოთ"-ი შეცვალეს. იმ დღეს ათეულათასობით ინგუში და ჩეჩენი დაიღუპა ამ ბარბაროსული ექსპერიმენტის შედეგად, ხოლო მათი ტერიტორიები დაიყო და მეზობელ რესპუბლიკებს მიუერთეს. მათ შორის, ჯაირახის რაიონი, სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ ადმინისტრაციის ნაწილი გახდა. ჩვენთან დღესაც ცხოვრობენ მოხუცები, რომლებსაც ახსოვთ, თუ როგორ დახვდნენ რეპატრიაციის შემდეგ მათ სახლკარზე დასახლებული ქართველები: ძმებივით უხაროდათ ინგუშების დაბრუნება, კლავდნენ საკლავს, ზეიმობდნენ. ორი დღის შემდეგ კი ქართველებმა გაუყვეს სარჩო-საბადებელი ინგუშებს, დალოცეს ისინი და საქართველოში დაბრუნდნენ. ინგუში ქალები საერთოდ არ ტირიან. მაგრამ მე მახსოვს, რომ, როცა ქართველებს ვემშვიდობებოდით, დედაჩემის თვალებზე ცრემლი დავინახე". - მითხრა მუხარბეკ აგიევმა.

აგერ ახლახან, 1992 წელს, კრემლის მიერ ინსპირირებული ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის დროს, პრიგოროდნის რაიონიდან და ვლადიკავკაზიდან იძულებით გამოასახლეს 70 ათასამდე ინგუში, ათეულობით ადამიანი დაიღუპა...დღეს ეს კონფლიქტი, ისეთივე ღია ჭრილობად რჩება მეზობელი ხალხების სხეულზე, როგორც ქართულ-ოსური, თუ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელშიც გამარჯვებული არ არსებობს. ასეთ დროს, როგორც წესი, მხარეებს თავიანთი წილი სიმართლე აქვთ და მის მიხედვით სჯიან. მაგრამ ფაქტი ერთია: კავკასიურ ძმობასთან, კავკასიურ ადათებთან და ტრადიციებთან, კავკასიურ მშვიდობასთან, საბოლოო ჯამში,ყველანი ვტყუივართ და უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, რომ ვაღიაროთ ეს შეცდომა, ვიდრე გვიან არ არის. კავკასიის შერიგებასა და კავკასიის მშვიდობაში კი, როგორც მასხადოვმა და აუშევმა თქვეს, საქართველოს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის.

**კობა ლიკლიკაძე**
თავდაცვის სამინისტროს
პრეს-სამსახურის უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლიციამ მიტინგი დაარბია

გუშინ თბილისის სახ.უნივერსიტეტის ეზოში პოლიციამ დაარბია მიტინგის ჩასატარებლად მისული ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის წარმომადგენლები, რადგან მიტინგი არ იყო სანქცირებული. მათ მომიტინგეებს პლაკატები წაართვეს და მიტინგისათვის განკუთვნილ ადგილას გადანაცვლებისაკენ მოუწოდეს. პარტიის თავჯდომარის ლ.ცომაიას თქმით, მიტინგის მიზანი მხოლოდ ზ.გამსახურდიას დაბადების დღის აღნიშვნა კი არ იყო, არამედ პროტესტის გამოცხადება ანტიეროვნული ხელისუფლების მიმართ. მომიტინგეთა მოთხოვნები იყო „ძირს ე.შევარდნაძის ძალადობრივი ხელისუფლება" და „ძირს პოლიციური რეჟიმი". მისივე თქმით, დღევანდელი დღეც საქართველოში ძალადობრივი რეჟიმის არსებობის კიდევ ერთი დასტურია.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ლ.ცომაიამ განაცხადა, დღევანდელი მიტინგის ჩატარების შესახებ ინფორმირებული იყო უნივერსიტეტის რექტორატი. რაც შეეხება მიტინგის ჩატარების ოფიციალურ ნებართვას, ასეთად მან საქართველოს კონსტიტუცია დაასახელა. (იფრინდა)

## «სულ მალე, მთავრობის სახლიდან მოგესალმებით»

გუშინ, დედა ენის ძეგლთან გაიმართა ზ.გამსახურდიას მომხრეთა რიგით მესამე, ამჯერად „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" მიტინგი, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტის, ზ.გამსახურდიას დაბადების თარიღსა და რეფერენდუმის 6 წლისთავს მიეძღვნა. მიტინგზე, რომელსაც დაახლოებით 300-მდე კაცი ესწრებოდა, აღინიშნა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები უნდა გავიდნენ არა მარტო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არამედ მთელი კავკასიიდან. რაც შეეხება ჩეჩნეთ-საქართველოს სტრატეგიულ კავშირს, პარტიის წევრის ჯ.გამახარიას განცხადებით, იგი დღესაც შესაძლებელია და ამ პარტნიორობით ჩვენ მიზანს მივაღწევთ. მისივე თქმით, „ჩეჩნეთი განთავისუფლდა და მისი თავისუფლება ჩვენც გადაგვარჩენს".

როგორც მიტინგზე აღინიშნა, ქართულ ეკლესიებს პატრონობენ წითელი სამღვდელოების წარმომადგენლები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში სრული ქაოსია, ამიტომაც „ჩვენ ხსნას მივაღწევთ, ღვთისადმი დაახლოებითა და ვედრებით, რაც ჩვენი პრეზიდენტის დაბრუნება იქნება და უახლოეს მომავალში, რუსის ჯარისაგან დამარცხებული ხელისუფლება, მთავრობის სახლიდან მოგესალმებათ". (იფრინდა)

## აუცილებელია ჯარების გაყვანა

ეღპ-ს მთავარი კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, პარტია სტრატეგიულ ამოცანად საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევას და დემოკრატიული საზოგადოების აშენებას მიიჩნევს. ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, განცხადების ავტორებს საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების სრული გაყვანა მიაჩნიათ. გარდა ამისა, მათი აზრით, შესამუშავებელია შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც საქართველოში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს და ჯარების გაყვანის პროცესს ცივილიზებული გზებით წარმართავს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, უმოკლეს ვადაში მისაღებია ასევე კანონი საქართველოს სახსაზღვრების დაცვის შესახებ და შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს რუსეთის სასაზღვრო ჯარების გაყვანის ვადები და გრაფიკი.

პარტიის მთავარ კომიტეტს მიაჩნია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის საკითხი პარლამენტში იმ შემთხვევაში უნდა დაისვას, თუ საპარლამენტო უმრავლესობა მზად იქნება საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. „წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტში ამ საკითხის ჩავარდნა, ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დიდი მარცხი იქნება, რაც ყოვლად დაუშვებელია" – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას და ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, გამართონ მრავალმხრივი კონსულტაციები, რათა დასმული საკითხები ქვეყნის ინტერესების შესაბამისად გადაიჭრას. (იფრინდა)

# ჭაჭია გვაშინებს...

მესამე გვერდიდან

მუშაობას" - ვფიქრობ, უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა, რომ გადაგვაჩვია სპეციალობით მუშაობას, მიჩვეულ და სასურველ საქმიანობას, გააჩერეს რა თითქმის ყველა რაიმე პროდუქციის შემქმნელი ორგანიზაცია. სხვის კმაყოფაზე კი ხალხი არც არასოდეს ყოფილა და, ალბათ, არც იქნება. ჩვენ ისევ ჩვენივე ადრინდელი შენაძენის ან მამა-პაპის დანატოვარის ბაზრობებზე რეალიზაციით ვსულდგმულობთ, ვისაც ეს რესურსი ამოეწურა, სხვა ქვეყნებში მიდის, ან აქ ემსახურება უცხო ფირმებს, ან უბრალოდ, მათხოვრობს - ესეც მუშაობაა და საკმაოდ შრომატევადიც, ეს კია, რომ ამით არაფერი იქმნება. სხვის კმაყოფაზე კი ქვეყნის ხელმძღვანელობა და ჩინოვნიკთა ზედაფენაა, რომელიც სხვა შემთხვევაში საკუთარი ხალხის კმაყოფაზე იქნებოდა, აღნიშნულ ფენას კი, ეტყობა, ძალიანაც აწყობს თავისი მდგომარეობა (მილიონების მათხოვრობა, ვითომ არა თავისთვის, არამედ ხალხისათვის მათხოვრობად არ ითვლება), რის შესანარჩუნებლადაც ხალხს ხან ნავთობისა და ხან აბრეშუმის გზების ზღაპრებით აბრუებენ და აიმედებენ (სამწუხაროდ, ამ ახალი ელდორადოების საკენკს დაბადებით მათხოვრების გარდა ბევრი აკადემიკოს-მათხოვარი და პროფესორ-მათხოვარიც კენკავს).

„ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი" - გვაფრთხილებს ბატონი ალ.ჭაჭია და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს ყველაფერი დღეს საქართველოში საშუალო განათლების პოლიტიკოსებისთვისაც ცნობილია, მაგრამ გამოსავალი? აგრძელებს რა მდგომარეობის დრამატიზებას, ოპონენტი წერს, რომ დღეს თურქეთში გაცხოველებული პროპაგანდა მიმდინარეობს აჭარის თურქულობაზე, რომ აჭარლები ქართველებმა ძალდატანებით გააქართველეს და თურმე ასეთი „ძალზე სერიოზული" არგუმენტი მოჰყავთ: „თურქეთმა დაუთმო ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიას, რომლის უფლებათა მემკვიდრე იყო საბჭოთა კავშირი, დღეს არ არსებობს არც რუსეთის იმპერია, არც სსრკ, საქართველო კი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ამიტომ ის ხელშეკრულებები ძალას კარგავენო. თურქეთს საქართველოსთვის აჭარა არ დაუთმია, ამიტომ იგი მას არ ეკუთვნისო". ამას მოსდევს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამერიკამ აღიარა თურქეთი რეგიონალურ ზესახელმწიფოდ კავკასიაზე გავლენის უფლებით, ე.ი. მთელი ამ მსჯელობიდან ერთი მარტივი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ან აჭარაც უნდა დავკარგოთ, როგორც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ან საბჭოთა კავშირი უნდა აღსდგეს, სხვა მხრივ აჭარა იურიდიულად თურმე თურქეთს ეკუთვნის. საერთაშორისო სამართალი თუ ლაფონტენის ცნობილი იგავის „მგელი და კრავის" ფილოსოფიის საფუძველზეა შექმნილი, არ ვიცი, თორემ სხვა მხრივ რა იურიდიული უფლება აქვს თურქეთს აჭარაზე? თუ თურქეთმა რაიმე დაუთმო რუსეთს, რუსეთმა - სსრკ-ს, ვინ წაართვა სსრკ-ს უფლება, ვისაც უნდა იმას გადასცეს თავისი ქონება? თუ თურქეთი ეყრდნობოდა 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ზავის შედეგებს, ისიც უნდა ითქვას, ჰქონდა კი პეტრე პირველს უფლება, რომ საქართველო, რომელიც მის იმპერიაში არ შედიოდა, თურქეთისათვის და ირანისათვის გაენაწილებინა. ეს ხელშეკრულება ხომ იმას ითვალისწინებდა, რომ ამ რეგიონში რუსეთი სცნობდა თურქეთისა და ირანის უფლებებს და მათ საქმეებში არ ჩაერეოდა, დანარჩენი კი საქართველოსი და მათი გადასაწყვეტი იყო. ძლიერმა თურქეთმა მაშინ ადვილად წაგლიჯა საქართველოს ტერიტორიები. საქართველო რომ უფრო ძლიერი გამხდარიყო, პირიქით მოხდებოდა - რა შუაშია აქ სამართლებრივ-არასამართლებრიობა? ან შორს წასვლა რად გვინდა, აქვე, ამავე სტატიაში აღნიშნავს ავტორი, რომ გერმანიამ უკვე განაცხადა, რომ „პოტსდამის შეთანხმებები გერმანიის მიერ იხილება მხოლოდ, როგორც პოლიტიკური დეკლარაციები, მითუმეტეს, რომ გერმანიას პოტსდამის კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიაო". პოტსდამი გერმანიაში მდებარეობს, ქვეყანა, რომელმაც კონფერენციის წინ უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი, დღეს აცხადებს პრეტენზიას კონფერენციაზე მონაწილეობაზე? მაგრამ საქმე სწორედ ისეა, როგორც ნახსენებ იგავ-არაკში - ძლიერი-მართალია. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება (აქვე შევნიშნავთ, რომ პირიქით იყო, რუსეთმა დაუთმო თურქეთს აჭარა აბასთუმნიანად 1918 წლის ბრესტის ზავით და საქართველომ ის ბრძოლით დაიბრუნა).

ახლაო, წერს სტატიის ავტორი, მოსკოვი იხილავს საქართველოდან ჯარის გაყვანის საკითხს და საქართველოში მაინც და მაინც ახლა ალაპარაკდნენ რუსული ჯარის გაყვანაზე, ეტყობა, ვიღაცეებს არ აწყობთ ამ „პრობლემის უკონფლიქტოდ გადაწყვეტა"-ო. გაუგებარია, თუკი მოსკოვი ჯარის გაყვანას აპირებს, რა უშლის მას ამაში ხელს, საქართველოს პოლიტიკოსთა ნაწილის მოთხოვნა: „ჯარი გაიყვანეთო", თუ საქართველოს პარლამენტის შესაძლო გადაწყვეტილება „რუსული ჯარის საქართველოდან გაყვანის თაობაზე?" ბატონი ალ.ჭაჭია ერთობ შეშფოთებას გამოთქვამს ახალქალაქში არსებული რუსული სამხედრო ბაზის შესაძლო გაუქმების თაობაზე და გამოთქვამს შიშს, რომ იქაური არაქართული მოსახლეობა, რომელიც ისედაც კარგად არის შეიარაღებული, ახლა ამ რუსული სამხედრო ბაზის ხარჯზე კიდევ უფრო შეიარაღდება. „თუ გავითვალისწინებთ ბაზის პირადი შემადგენლობის უმრავლესობის ეროვნულობას"-ო, ე.ი. რუსეთი, ეტყობა, საქართველოსათვის ყოველთვის და მხოლოდ კარგს ფიქრობს, ახალქალაქში მდგარი სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობა კი ან შემთხვევითაა მთლიანად სომხური ეროვნების, ან არა და, საქართველოს ინტერესების დაცვის გამო.

ბატონი ალ.ჭაჭია თითქმის ყველა სახელმწიფოს და მათ კავშირებს საქართველოს დაუძინებელ მტრებად სახავს და დაუფარავად გვაშინებს ამერიკული მილიტარიზმით, გერმანული იმპერიალიზმით, თურქული ფუნდამენტალიზმით, კავკასიის სახელმწიფოთა კონფედერაციით, ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონფედერაციით, ირან-აზერბაიჯანის კავშირით, თურქეთ-ირანერაყის კავშირით, შიიტებისა და სუნიტების გაერთიანებით... მოკლედ საქართველოსათვის ყველა გზა, გარდა ერთისა, მოჭრილია და ის ერთი კი ის არის, რომელიც მტერთა სიაში არ მოიხსენიება.

გაგრძელება იქნება

## ● ღუთშესვენება-იუმორის კუთხე

ჩვენი სტუმარია გურანდა გაბუნია

# რა უნდა ამ ქალს ჩემგან?!

მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა შექსპირის „აურზაური არაფრის გამო". მთავარ როლებს თამაშობდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესი და მედიკო ჯაფარიძე. რეპეტიციების წინ მედეა ჩემთან მოვიდა და მკითხა: - გურანდა, იოლია ოთართან მუშაობა?

- კი ქალბატონო მედიკო, ძალიან იოლია, თუ მშიერი არ არის. სახლში რომ მოდის, კარებთან საჭმლით ხელში ვხვდები, რომ არ აფეთქდეს და არ გაღიზიანდეს. მშიერი ძალიან საშიშია და რადგან ვიცი მისი ეს თვისება, სულ მინდა დანაყრებული მყავდეს-მეთქი. - ვუთხარი მე.

- კარგი ერთი, მართლა? - გაიკვირვა მედიკომ, მეტი არაფერი უთქვამს და გამშორდა.

გავიდა დღეები, მე გადამავიწყდა ეს ამბავი და ერთ მშვენიერ საღამოს ოთარი ბრუნდება რეპეტიციიდან ასეთი სიტყვებით: - გაგგიჟდები, რას აკეთებს ეს ქალი, ვერ ვხვდები, მთლიანად ცვლის მიზანსცენებს. მოვა, ჩამიყოფს პიჯაკის ჯიბეში ხელს და უბრუნდება თავის ადგილს. ხელი რომ ჩავყავი ჯიბეში, კვერცხი აღმოვაჩინე, რატომ, ვერ გავიგე!

მეორე დღეს ისევ ბრუნდება რეპეტიციიდან ოთარი. - შეშლილი ვარ, ეს ქალი ნამდვილად გამაგიჟებს, დღეს ვაშლი ჩამიდო ჯიბეში! ამის გაგონების შემდეგ მე ველარ მოვითმინე, გავედი მეორე ოთახში და სიცილისაგან კინაღამ გავიგუდე...

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ოთარი უფრო გაოგნებული დაბრუნდა სახლში. - არა, ეს ქალი სულ გაგიჟდა, ერთ ჯიბეში მოხარშული ქათმის ბარკალი და მეორეში შემწვარი სოსისი ჩამიდო. რა უნდა შემწვარ-მოხრაკულებს ჯიბეში და საერთოდ, რა უნდა ამ ქალს ჩემგან?

აქ უკვე ველარ მოვითმინე, რადგან ჩემი მეუღლე სიბრაზისა და გაოცებისაგან აღარ იყო და გავუმხილე: - ნუ გაბრაზდები, შენი ჭირიმე, ეს მე ვუთხარი მედიკოს შენზე, რომ ძალიან საშიშია მშიერი და ალბათ, გაჭმევს იმიტომ, რომ თვითონ მედიკო არ შეჭამო-მეთქი.

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ნამდვილად არ მეგონა, თუ ოთარს გადავურჩებოდი. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ოთარმა ბევრი იცინა.

ეს მარტო მედიკოს შეეძლო. სხვას რომ გაეკეთებინა, ალბათ, არც გაგვეღიმებოდათ. ერთი რამ მახსენდება: იტალიაში რომ ვიყავით, მსახიობებს გვირიგებდნენ რაღაცა კაპიკებს, ე.წ. დღიურ ხელფასს. არადა, ყველა ვზრუნავდით იმაზე, რომ პატარა საჩუქარი ჩამოგვეტანა ოჯახის წევრებისათვის. ამ დროს მედიკო ავტობუსში ამოდიოდა დიდი ჩანთით, სადაც თერმოსით ცხელი ყავა და ბუტერბროდები ეწყო. ხან ერთს შემოგვთავაზებდა, ხან მეორეს. - შენ, ალბათ, გშია, აიღე ბუტერბროდი და ყავაც დააყოლე. ასე ზრუნავდა ჩვენზე და სითბოს გვინაწილებდა ეს თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი.

გაგრძელება იქნება

## დევნილებს დაეხმარებიან

15-16 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებს ევროგაერთიანება გალის რაიონში დაბრუნებული დევნილების რეაბილიტირებისათვის. გარდა ამისა, მოსალოდნელია გაერო-ს დახმარებაც, რომელიც ჰუმანიტარული დახმარებების გარდა დააფინანსებს კომუნიკაციების აღდგენით სამუშაოებს და ეკონომიკურ რეფორმებს. ამის შესახებ იყო საუბარი პრეს-კონფერენციაზე, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა გამართეს. ირაკლი მენაღარიშვილის თქმით, სამიტზე მიიღეს ორი დოკუმენტი აფხაზეთთან დაკავშირებით – კონფლიქტის მოწესრიგების და სამშვიდობო ოპერაციების გაფართოების შესახებ. რუსეთის სამშვიდობო ძალებს მანდატი 31 ივლისამდე გაუგრძელეს. როგორც მოსკოვში ალნიშნა, აზრი არ აქვს დსთ-ს არსებობას, თუ თანამეგობრობის ტერიტორიაზე კონფლიქტები იარსებებს. (ბი ჯი აი)

## «ჩვენ ახლაც მზად ვართ, ტყვიას შევუშვიროთ მკერდი»

ელპ-ს შტაბ-ბინაში გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე, მასმედიის წარმომადგენლებს, უშიშროების სპეც. დანიშნულების რაზმ „ომეგა"-ს ყოფილ წევრთა (ამჟამად დაკავებულების) მშობლები და ახლობლები შეხვდნენ. მათი განცხადებით, ორი წელია „ომეგა"-ს პირველი შემადგენლობის გარშემო მიმდინარეობს გაცხოველებული ბრძოლა. აქედან 29 ადამიანის ბედი გაურკვეველია და მათ გეგმაზომიერად, სხვადასხვა ფორმით ანადგურებენ. აქედან 3 დაღუპულია, 8 დაკავებული, 2 ძებნაშია, დანარჩენების მიმართ კი იგივე საფრთხეა მოსალოდნელი. დაკავებულთა ახლობლების აზრით, რჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევს „ომეგა"-ს არსებობა, კერძოდ, იმ ბიჭებისა, რომლებმაც მომზადება აშშ-ში გაიარეს. მათივე თქმით, ყველაფერ ამას პოლიტიკური სარჩული უდევს, რადგან სხვადასხვა მიზეზით, დაკავების მეორე დღესვე, მათ, 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობაში დაედოთ ბრალი. პრეს-კონფერენციაზე დაკავებულთა ახლობლებმა მრავალი შეკითხვა დასვეს. კერძოდ, რატომ არიან უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შშს-ს და არა უშიშროების იზოლატორში და რატომ დუმს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა.

პრეს-კონფერენციას ესწრებოდა „ომეგა"-ს ახლანდელი ხელმძღვანელი ზ.ვაზალიკაშვილი, რომელმაც თავის მხრივ განაცხადა, რომ „ომეგა"-ს არცერთი წევრი ხელს არ აღმართავდა რომელიმე მოქალაქეზე, მითუმეტეს პრეზიდენტზე და თუ რომელიმე მათგანს დაუმტკიცდა ტერორისტულ აქტში მონაწილეობა, მაშინ თავად ისიც ტერორისტი ყოფილა და დასაჯერია. „ჩვენ ახლაც მზად ვართ, რომ ტყვიას შევუშვიროთ მკერდი" – განაცხადა მან.

როგორც პრეს-კონფერენციაზე ითქვა, დაკავებულთა ახლობლებმა თხოვნით მიმართეს პარლამენტს, შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, რაზეც ელპ-ს ლიდერმა მათ დახმარება აღუთქვა და განაცხადა, რომ ხვალვე მოითხოვს კომისიის შექმნას, რომელსაც სათავეში პარლამენტარი მიხეილ ოსაძე ჩაუდგება. დასასრულს, გამოითქვა იმედი, რომ „ბიჭები ყურადღების გარეშე არ დარჩებიან". (იფრინდა)

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „ქამუშაძის გაჭირვება"

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### „ჩვენ აღარცკი ვეკარებით ერთმანეთს"

ამ სიტყვებით გამოხატა ოტიას დედამ, ეკვირინემ თავის მაზლთან და სანათესაოსთან დამოკიდებულება. დიახ, ერთი წრის ხალხი, მეზობლები, ნათესავები ერთმანეთს აღარ ეკარებიან, ყველა ერთურთზეა წაკიდებული და ერთმანეთის უბედურებით ხარობენ.

უცნაური რამ სჭირს გაუბედურებულ ადამიანს. თუ უბედურება საყოველთაოა, – უფრო უძლებს პირად გაჭირვებას. ხოლო თუ „მარტოისად" მასზედ „არიან ჭირნი ესე", სხვანი კი დალხენილად ცხოვრობენ, მაშინ ორმაგად ბედკრულად მიიჩნევს თავს. ერთიც არის, დატანჯულმა კაცმა, თუ კიდევ უფრო მეტად გაწამებული იხილა, როგორღაც თვითკმაყოფილების გრძნობა უჩნდება, აჰა, ჩემზედ უბედურებიც ყოფილან ქვეყანაზე და მადლი უფალს, მათსავით რომ არ ვარ დაცემული და იმათებურად რომ არ მიჭირავს სული კბილითო.

სიკეთის მადლისგან დაცლილი ადამიანებისთვის ასეთი ფიქრი ჩვეულებრივია და „ადამიანური". ასე ხდება „ქამუშაძის გაჭირვებაშიც".

ოტიას ბიძის, ლევან ქამუშაძის ოჯახი სრულიად გაპარტახებულია, მოხუცი აზნაური სიკვდილს ნატრობს. უფრო მეტი სილატაკე, რაც ამ სახლში სუფევს, წარმოუდგენელია. მათი ხილვით გულდათუთქული სონია ჭკრის ნათესავებს შეიბრალებს. ეს არ ესიამოვნება მის დედამთილს, ეკვირინეს და ნიშნისმოგებით ლაპარაკობს: „ახლა ტირის მაგ შავ დღეზე გაჩენილი თავის საქმეს? აქამდისინ სად იყო?".

მოხუც ლევანსა და მის ცოლს ეფროსინეს ასევე მტრად გადასდგომია ოტიას მეორე ბიძის, ომანის სახლეული.

ეკვირინე კი თავის მხრივ, მხოლოდ ლევანის კი არა, ომანის ოჯახსაც დღედაღამ წყევლის და თათხავს.

– რა საცოდავი ყოფილა, ბეჩა, ეს უბედური ომანი! – ახლა ომანის სილატაკის ხილვას აუჩვილებია სონიას გული.

– საცოდავი არიან, აბა!.. მარა მაინც არ წყნარდებიან, ყოველთვის ერთ შფოთსა და უბედურებაში არიან. ვერაფერმა ვერ დაამშვიდა... ვერც სიღარიბემ და ვერც სილატაკემ, – იქედნურად უპასუხა რძალს ეკვირინემ.

ომანს შვილი გარდაეცვალა. დამწუხრებულ სონიას ეკვირინე მიმართავს: „შენ კარგად მყავდე და მაგათ თავი უტეხიათ, ერთმანეთიც ამოუწყვეტიათ... წყდებიან ხომ მაინც! ღმერთო ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, კაცმა რომ თქვას, მადლიცაა – რა ცხოვრება მოელოდა საწყალს რომ გაზრდილიყო... იმდენ სულში, რაც იმ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვდებოდა საწილოში?..."

არ იფიქროთ, ეკვირინეა გაბოროტებული და მხოლოდ მას არ მიაჩნს სხვისი ჭირი გულთან. არა, ასეთია ყველა. სილატაკემ გამოჰკვება სისასტიკე. გაუცივა გული მეზობლებს, ნათესავებს. თუ ახლო სანათესაო ასე გადაკიდებულია ერთმანეთზე, რა ურთიერთობა უნდა იყოს მეზობლებს შორის.

სისასტიკეს თვით ოჯახის წევრთა ურთიერთობებშიც შეუღწევია. ერთ ოჯახში ერთი კერის პირას მისხდარ ხალხს აღარაფერი აკავშირებს ერთმანეთთან. ყველა თავ-თავის საფიქრალს მისცემია და მათ შორისაც სრული გაუცხოება სუფევს.

### გაუცხოება ოჯახის წევრთა შორის

ჩეხოვის ერთ პატარა მოთხრობაში „არქიელი" ასეთი სიუჟეტია გადმოცემული.

დედა სასულიერო იერარქის მაღალ საფეხურზე დაწინაურებულ შვილს ხვდება. მოხუცებული ქალი დაბნეულია. აღარ იცის, შვილს თქვენობით ელაპარაკოს თუ შენობით, გაიცინოს თუ არა, მოხუცი ვერ ივიწყებს, რომ გლეხის ცოლია და თავის გადიდკაცებულ შვილთან სრულიად უმწეოდ, გაუცხოებულად გრძნობს თავს. მენატრებოდით საზღვარგარეთ ყოფნისას, – მიმართავს შვილი დედას.

– მადლობას მოგახსენებთ, – მოწიწებით პასუხობს მოხუცი.

ეს საკვირველი ურთიერთობა დედა-შვილისა, „ქამუშაძის გაჭირვებაში" აღწერილმა ერთი ოჯახის ყოფამ გამახსენა.

გაიხსენეთ ბეგლარ ჯინჭარაძის ურთიერთობა დედასთან და დასთან. „ეს ბედნიერი არსება, ეს რჩეული შვილი – ირონიით წერს მწერალი, – იყო №-ის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის უმცროსი თანაშემწე". ბეგლარი პაწაწა ჩინოვნიკი კი იყო, მაგრამ გაღატაკებულ ჯინჭარაძეთა გვარში დიდ კაცად ითვლებოდა, რადგან, რაც არ უნდა იყოს, მაინც ხელმწიფის სამსახურში ედგა ფეხი და „დასაფასებელ" ხალხში ტრიალებდა.

ეს გაჭირილი და გაიძვერა კაცი, უფროსთა წინაშე მიწამდე თავდადრეკილი და მათი ფერხთა მტვერი, რიგით ადამიანებს პირდაპირ ოლიმპოს სიმაღლიდან დასცქეროდა. „შინაურობაში იგი ღმერთი იყო, ალბათ, თავის აღმატებულებაში რომ იყო დარწმუნებული, იმიტომ არ ეხერხებოდა არც დედასთან და არც დასთან გრძელი ლაპარაკი. არც უყვარდა მათთან თავის გულის ნადების გაზიარება და შინ მყოფი საზოგადოდ მარტოდ იყო, დედაცა და დაც მორიდებით იყვნენ მასთან და არიდებდნენ ყოველ უსიამოვნებას ამ სასიქადულო და სათაყვანებელ ოჯახის წევრს".

ბეგლარი რომ სამსახურიდან მობრძანდებოდა, ნაცნობი ფეხის ხმის გაგონებაზე დედა-შვილი, პელაგია და სონია, ხმას გაიკმენდდნენ, მოვიდა – წამოიძახებდა დედა და დაფაცურდებოდნენ.

ბეგლარ ჯინჭარაძე საკუთარ ოჯახში თითქმის არ საუბრობდა. მისგან ორიოდე სიტყვა და ღიმება ღვთის წყალობად აღიქმებოდა სახლში.

ისეთი მოკრძალებით შესცქერის ამ გულდახურულ ახალგაზრდას დედა, მისმა „სახელოვანმა შვილმა ერთი პატარა საფეხურით რომ წაიწიოს წინ და მოსამართლის თანაშემწე კი არა, მოსამართლის მდივნის უფროსი თანაშემწე რომ გახდეს, – თქვენო მაღალკეთილშობილებავო – ალბათ, ასე მიმართავენ მერე ახლობლები.

პელაგიას, ისე როგორც ჩეხოვის ზემოთნახსენებ მოთხრობაში არქიელის დედას, თითქოს არ ავიწყდება, რომ იგი მშიერი აზნაურის ცოლია და „დიდი კაცის" დედობას ვეღარ „იფერებს". მოსამსახურესავით გრძნობს საკუთარ შვილთან თავს.

ბეგლარ ჯინჭარაძე თავის სახლში შემთხვევით მოხვედრილ საპატიო სტუმარივით იქცევა. ასეთი ადამიანები თავისზე „მდაბალ" ხალხთან საერთოდაც ყოველთვის სტუმარივით გრძნობენ თავს, ოღონდ მადლიერებით დაბნეული სტუმრივით კი არა, იმ ღირსებით წარმოგვიდგებიან, ყველას რომ მოსამსახურეობას ავალებენ. მათთვის ქვეშევრდომი ყველგან მასპინძელი უნდა იყოს, შინაც და გარეთაც.

ბეგლარ ჯინჭარაძის სიახლოვეს დედაცა და დაც ვალდებულად თვლიან თავს, ქვეშევრდომული ფეხაკრეფით იარონ...

რატომ ხდება ეს ასე? რატომ გაუცხოებულან ოჯახის წევრები ერთმანეთისგან, რამ შეცვალა ქართული ოჯახის წევრთა შორის ტრადიციულად დამახასიათებელი ალალ-მართალი, გულწრფელი, ლაღი დამოკიდებულება ქვეშევრდომული ურთიერთობით?

პირველი. საყოველთაო გაჭირვების ფონზე ჯინჭარაძეს საკუთარი ოჯახი დამშეული არ ჰყავს, აქედან იბადება მასში უპირატესობის გრძნობა.

მეორე. ოჯახს რომ არაფერი გაუჭირვოს, უნდა ითაღლითოს, ამიტომ დილა-საღამოს თავის სათაღლითო გეგმებზე ფიქრობს და ოჯახთან თბილი, ადამიანური ურთიერთობისათვის მას არ სცალია.

და მესამე, რაკი მისი სარჩენია დედა და და, მოვალეობის გრძნობა აიძულებს, მეტი იშოვოს, მეტის შოვნა კი მეტ ტვინის ჭყლეტასა და მეტ შრომას ითხოვს. ყოველივე ამაში კი თითქოს დედა და დაა „დამნაშავე". თავის თავზე ნარცისივით შეყვარებულ ჯინჭარაძისთვის ეს უკანასკნელნი ზედმეტ ადამიანებად ქცეულან და მათდამი სიყვარულს შენაცვლებია მოვალეობის გულგრილი გრძნობა.

ასე რომ, ოჯახის წევრთა შორის გაუცხოების საფუძველი ამ შემთხვევაში ისევ სოციალურ უკუღმართობაშია საძიებელი. არსებობისათვის ბრძოლაში ბეგლარ ჯინჭარაძემ დაკარგა ზნეობა. უზნეოდ ცხოვრება კი უსიყვარულოდ ცხოვრებას ნიშნავს. მას ადამიანებთან აკავშირებს მხოლოდ პრაგმატისტული, გამოყენებითი დამოკიდებულება.

რაკი დედასთან და დასთან ეს დამოკიდებულება ვერ ეჭნება, ამიტომ არც აქვს მათთან საერთოდ დამოკიდებულება. არის უცხო, მედიდური და თავის ნაჭუჭში გამოკეტილი.

თუ ბეგლარ ჯინჭარაძე თავის თავს ამაღლის ახლობლებს, ოტია ქამუშაძე პირიქით, უპოვარობისა და ცხოვრების მოუწყობლობის გამო გაუცხოებულა საკუთარ ოჯახში.

გულისმომკვლელია ოტიას ოჯახური ყოფის წარმოდგენა. ვიდრე ცოლს შეირთავდა, ოტია ქამუშაძეს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა იმდენად არ აფიქრებდა, რადგან ხმელ ჭადზე და ლობიოზეც იოლად გადადიოდა, როგორც ყველა მისი მეზობელი. მაგრამ აი, ოტიამ ქალაქელი ქალი შეირთო, ბეგლარ ჯინჭარაძის და სონია. თუ აქამდე სოფლის ღარიბულ ცხოვრებას მიჩვეული ოტია გულარხეინად ცხოვრობდა, ახლა უკვე ოჯახში უცხო ადამიანის შემოსვლის შემდეგ, იძულებული გახდა თვითონაც სხვა თვალით შეეხედა თავისი ყოფისათვის და მთელი სისრულით იგრძნო, თუ როგორ მჭიდროდ ეჭიდებოდა მის ოჯახს თანდათანობით სილატაკის მარყუჟი.

„თვალი რომ აეხილა და ეს ფიქრი რომ დაებადა გულში, სწორედ იმ წამიდან რაღაც დამნაშავედ ჩასთვალა თავისი თავი ცოლის წინაშე და მოვალედ გრძნობდა თავის თავს, საჭე გამოეკეთებინა და მოტყუებული ადამიანის წინაშე მაინც რამოდენადმე პირნათლად გამოსულიყო. ოტიას რცხვენოდა ცოლის, მეტად მორიდებით იყო მასთან და მუდამ რაღაც საქმიანობაში, მუშაობაში იყო".

რას არ ეცადა ღარიბი აზნაური. როგორ არ იდგამდა წელებზე ფეხს, მაგრამ ვერა და ვერ წასწია წინ საქმე. ოტია დამნაშავესავით ჩუმად შემოიპარებოდა ღამით სახლში, დაღლილდაქანცული ფეხაკრეფით მოიპარებოდა საწოლთან, რომ ცოლს არ დაენახა და მისთვის ყველაზე თავზარდამცემი კითხვა არ მიეცა: რას გვიპირებ, რა ვქნათ, რა გვეშველება. ამ კითხვაზე ვერა და ვერ გამოეძებნა პასუხი და იმასღა ცდილობდა, დარცხვენილს ცოლისთვის თვალი აერიდებინა. „დანაშაულის" გრძნობამ ეს უდანაშაულო კაცი გააუცხოვა, საკუთარ თავში გამოკეტა, მეუღლის წინაშე გაუბედავ, ნირწამხდარ პიროვნებად აქცია. არის ერთი პატარა დეტალი ნაწარმოებში, რომელიც სრულყოფილად წარმოგვიდგენს სილატაკის ნიადაგზე ცოლ-ქმრის გაუცხოების მთელ საცოდაობას. ცოლი ხედავდა, რომ მისი ქმარი ცდას არ აკლებდა, ხელებს იტყვებდა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით და ამიტომ ეცოდებოდა, ვერაფერს საყვედურობდა, მაგრამ ერთხელ ვეღარ მოუთმინა გულმა. ალაპარაკდა, პასუხი მოითხოვა. მაგრამ გულიც ამოუჯდა და მწარედ ატირდა. ამის შემხედვარე ოტიას გული აუდუღდა:

„– ოღონდ შენ ნუ მოიქცევი აგრე... შენ ნუ შემახედვინებ, რომ სატირლად გაქვს ჩემს ოჯახში ფეხის შემოდგმა, ჩემთან ცხოვრება... ყველაფერს ვცდი... ყველაფერს ვილონებ...

ჩვენი შვილები ღმერთმა ნუ აცხოვროს ასე, ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ. რაღა კაცი ვიქნები მაშინ! არა, არა შენ არ მომიკვდე, შენ! – და მან გადაუწია პირზე მიფარებული ხელი და სიყვარულით აკოცა სახეზე, ჯერ მოუხერხებლად, გაუბედავად, რადგან ეს პირველად იყო, რომ იგი ესიყვარულებოდა ქალს, პირველად ეალერსებოდა თავის ცოლს".

ახლა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ახალგაზრდებს მთლად ახლად დაქორწინებულები აღარ ეთქმით, უკვე შვილს ელოდებიან, ნათლად წარმოგვიდგება ის საშინელი გაუცხოება, რაც ოტია ქამუშაძის ოჯახში სუფევს, რასაც საფუძვლად უდევს სიღარიბით დარცხვენილი კაცის კომპლექსი.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №31

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არაკვალიფიციურ ხალხთან ჩვენ არ ვიკამათებთ

ითქვა 29 მარტს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პრეს-კონფერენციაზე. პარტიის თავმჯდომარემ, მიხეილ ნანეიშვილმა თქვა, რომ ფედერალიზაციის საკითხი საქართველოში არაა დღესდღეობით აქტუალური და მას მხოლოდ სამი პარტია უჭერს მხარს.

„საქართველოს ფედერალიზაციას არანაირი თეორიული, პრაქტიკულ-კულტურულ-ისტორიულ-იურიდიულ-პოლიტიკური გამართლება არა აქვს. ეს პოლიტიკური შეცდომაა, რასაც შთამომავლობა დანაშაულად ჩაგვითვლის. ბატონ პრეზიდენტს ვთხოვთ კიდევ ერთხელ შეისწავლოს ეს საკითხი, საქართველოს გეოპოლიტიკური და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით", – თქვა მიხეილ ნანეიშვილმა. მან ასევე აღნიშნა, რომ პარტია მზადაა ნებისმიერი დისკუსიისათვის ხელისუფლების ავტორიტეტულ წარმომადგენელთა და სპეციალისტების აზრის ოპონირებისათვის, თუნდაც უცხოელი ექსპერტების თანდასწრებით.

პარტიამ თანადგომა გამოუცხადა ირაკლი წერეთლის შიმშილობას და გამოთქვა იმედი, რომ ეს დესტაბილიზაციას არ გამოიწვევს.

ხათუნა აბაზაძე

## მოწმეები ჩვენებებს ცვლიან...

სასამართლო პროცესი „ბორჯომის საქმის" გამო

გრძელდება სასამართლო სხდომა „ბორჯომის საქმის" შესახებ. სასამართლოზე მოწმედ გამოძახებულმა შოთა გუგუბერიძემ, კახა სხილაძემ, შოთა შუბითიძემ თავდაპირველი ჩვენებები შეცვალეს განსასჯელთა სასარგებლოდ...

სასამართლო სხდომის ბოლოს დაიკითხა განსასჯელი მიხეილ სამსონაშვილის დედა, რომელმაც თქვა, რომ 20 ნოემბერს სახლში მოვიდა მისი შვილი, რომელსაც სახეზე ფერი არ ედო, ერთი ხელი სისხლში ჰქონდა გასვრილი და მეორე კი მუცელზე ედო, რომლიდანაც სისხლი ჩქეფდა. „დედა ვკვდებიო"– შესჩივლა დედას მიხეილმა და გული წაუვიდა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და გადაარჩინეს. განსასჯელის დედამ თქვა, რომ სწორედ საავადმყოფოში მან ჭორად გაიგო: მისი შვილი რუსთაველის ქუჩაზე სროლის დროს ყოფილა დაჭრილი. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ეს ჭორი დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდა ბორჯომის საზოგადოებაში. მოწმეთა ამჟამინდელი ჩვენებებით ჩანს, რომ განსასჯელთა გულშემატკივარნი მათზე ზეგავლენას უნდა ახდენდნენ.

სასამართლო პროცესი გრძელდება.

ია ბუჭუსკაია

● საით მიდის საქართველო?

# პოსტკომუნისტური კავკასია: პრობლემები და პერსპექტივები

დავით ბერძენიშვილი

*1. დამოუკიდებლობისაკენ დემოკრატიის გარეშე და კირიქით*

ქართველობა მოუმზადებელი შეხვდა დამოუკიდებლობას. 60-80-იან წლებში აშკარად ჩანს ქართველი საბჭოთა ადამიანის ტიპი, ქართული საბჭოთა გარემო, სადაც დარღვეულია შეუპოვრობასა და კომპრომისს შორის ბალანსი. ესაა კონფორმიზმის ზეობის ხანა. პრიმიტიული და მასშტაბით შეზღუდული რადიკალიზმის თანხლებით, „რესპუბლიკაში" ჰყვავის კორუფცია, ორმაგი მორალი.

ქართული ინტელიგენცია ხელისუფლების მიერ მონიშნულ ფუნქციას ასრულებს (აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ ინტელიგენციას საქმიანობის უფრო ფართო ჩარჩოები დაუდგინა, ვიდრე სხვა „მოკავშირე რესპუბლიკების" უმრავლესობაში); ნომენკლატურული ინტელიგენცია ხელისუფლების შემადგენელი ნაწილია, ხოლო პოლიტიზირებული ინტელიგენციის სხვა ნაწილი პატრიოტი-ანტიკომუნისტები არიან, მეტწილად დემოკრატიული ღირებულებების გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლება 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ანტირეფორმატორულია. „გლასტნოსტი" საქართველოში არც ყოფილა. 1989-90 წ.წ. ქართულ პრესას უკვე არაფორმალები, მეტწილად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურად განწყობილი ლიდერები აკონტროლებენ.

დისიდენტური მოძრაობა საქართველოში სუსტი იყო, რამაც საშუალება მისცა გამსახურდიას და მის მაშინდელ პარტნიორებს, დაეჩრდილათ დემოკრატიული იდეების მატარებელი ყოფილი პოლიტპატიმრები და ინტელექტუალები. ხელისუფლების წაყრუებისა და ფაქტიურად დახმარების შედეგად გამსახურდიამ 1989 წ. 9 აპრილის მოვლენების შემდეგ დაჯაბნა დემოკრატიული მიმართულების ორგანიზაციები და სახალხო აღშფოთების ტალღაზე გახელისუფლდა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებასთან ეფექტურად მოთანამშრომლე მისივე ავტონომიური სტრუქტურაა. დღემდე ეკლესია ვერ გახდა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ხელისუფლებისაგან და შევარდნაძის რეჟიმის შემადგენელი ნაწილია ისევე, როგორც ეს იყო მისი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის დროს.

ქართველი საქმოსნების უმრავლესობაც საბჭოთა ქართველები იყვნენ და სსრკ-ს გარეშე საქმიანობა ვერ წარმოედგინათ.

ამ და სხვა ფაქტორების შედეგად, XX ს. ბოლო მეოთხედის საქართველო გამსახურდია-შევარდნაძის დაპირისპირება „პარტნიორობის" არენად იქცა და არაკოორდინირებული ეროვნული და დემოკრატიული ძალების მცდელობა, ამ „ტანდემის" ალტერნატივა გამხდარიყო, უშედეგოდ დამთავრდა.

გამსახურდიას ხმაურიანი ნაციონალიზმი (მისი არსით ფსევდონაციონალიზმი) მაქსიმალურად გამოიყენეს საქართველოს მოწინააღმდეგეებმა ყველა მიმართულებით. და, უპირველეს ყოვლისა, საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციისათვის. შევარდნაძის ფსევდოდემოკრატიულმა რიტორიკამ კი, რომელიც მისი ფაქტიურად ავტორიტარული მმართველობის კოსმეტიკურ საშუალებად გამოიყენება, ხალხში დემოკრატიული იდეალებისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად შეამცირა. ხალხი თავს მოტყუებულად თვლის. აპათია და ზნეობრივი, ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების დევალვაცია ახასიათებს თანამედროვე ქართულ საზოგადოებას.

ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კავკასიელებს არ გვქონდა სახელმწიფოებრიობის ცოცხალი განცდა და მოთხოვნილება. ბალტიელების უპირატესობა იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტობა, მეტი კომპეტენტურობა და ნაკლები ეგზალტაციურობა...

*2. რა პრობლემებს გვიქმნის რუსეთი*

სსრკ იყო ცენტრისა და „მოკავშირე რესპუბლიკათა ნომენკლატურების სამფლობელო. ავტონომიების ნომენკლატურა თავიდან დათრგუნული იყო, რასაც 50-იანი წ.წ. ბოლოდან, განსაკუთრებით პერესტროიკის წლებში მოჰყვა ავტონომიურ-ნომენკლატურული რევანშიზმი.

სამხრეთ კავკასიაში ეს ტენდენცია აშკარაა.

სტრატეგიული ხასიათის შეცდომად მივიჩნევთ ლენინის პორტრეტებითა და პერესტროიკის ლოზუნგებით ხელში სიმართლის მოსკოვში ძიებას ერთიანი კავკასიური პოლიტიკის მცდელობის ნაცვლად. სათავე ასეთ მცდარ პოლიტიკას ყარაბაღში დაედო, შემდეგ აპრობირებული და გაუმჯობესებული მოდელი გამოიყენეს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. ჩვენი ქვეყნები და ხალხები არ აღმოჩნდნენ მზად უშუალო დიალოგისთვის რთული საკუთარი რეგიონების წარმომადგენლებთან და უფრო ფართო გაგებით, ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების რუსეთის მეშვეობით გადაჭრას (საქართველოში მხოლოდ ბოლო თვეებში შეიმჩნევა ამ პრობლემათა ნაწილის რუსეთის გარეშე გადაჭრის ჯერ კიდევ სუსტი მცდელობა).

რუსეთმა ცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და ამასთანავე უზრუნველყო პრორუსული (და არა სეპარატისტული) რეჟიმების შექმნა სამხრეთ კავკასიაში. რუსეთმა შექმნა თავისი არსით ანტიქართული და პრორუსული ორგანიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში – მთიელ ხალხთა კონფედერაცია. რუსეთმა მიაღწია დროებით, ეფემერულ წარმატებას – საქართველოს წინააღმდეგ თავისი არსით ანტირუსული ჩეჩნური ენერგიის წარმართვას. საქართველოში არავის გაკვირვებია, რომ მალე ეს ენერგია საკუთარ კალაპოტს გაძლიერებული დაუბრუნდა. ჩვენ მივესალმებით ჩეჩნეთის გათავისუფლებას.

რუსეთმა შეძლო, შეენარჩუნებია ორი ქართველი პარტნიორ-კონკურენტის მანიპულირების სადავეები – ცინიკურად და უკანასკნელად გაითამაშა გამსახურდიას კარტი. აფხაზეთის მოგლეჯის ბოლო ეტაპზე გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებით, რუსეთმა აიძულა შევარდნაძე, შეეყვანა საქართველო СНГ-ში და ახლა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ხელშეკრულების რატიფიკაციას აძალებს. აზერბაიჯანში ამ მასშტაბით ასეთი მცდელობანი უშედეგო აღმოჩნდა.

*3. რა შეუძლია რუსეთს კავკასიაში*

სტრატეგიული თვალსაზრისით ჩვენი სუვერენიტეტის საკითხში რუსეთი აღარ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ის აღარაა ზესახელმწიფო, მეტიც, მისი დღევანდელი გავლენა მსოფლიოში ჩინეთის, იაპონიის, ევროპის დიდი სახელმწიფოების (მით უმეტეს, ევროკავშირის) გავლენასაც კი ჩამორჩება. დასავლელი ანალიტიკოსების შეფასებით, ეკონომიკური პარამეტრებით ბრაზილიის, ინდონეზიის რიგში დგას.

გარკვეული ანალოგია შეიმჩნევა რუსეთის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირს შორის. სსრკ-მ ვერ შეძლო ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის გამოჭედვა. 1978 წ. 14 აპრილს ათეულათასობით ქართველმა დემონსტრანტმა შეძლო ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვა საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რითაც დაიცვეს საკუთარი ეროვნული იდენტურობა. დღეს „საბჭოთა ხალხის" ნარჩენად შეგვიძლია განვიხილოთ „რუსულენოვანი მოსახლეობა" ბალტიაში, უკრაინაში, მოლდოვასა და შუა აზიაში (ნაკლებად კავკასიაში).

სსრკ-მ ვერ შეძლო მსოფლიოში გავლენის სფეროების შენარჩუნება. მისი პოლიტიკა არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა როგორც საშინაო, ისე საგარეო სტრატეგიაში.

რუსეთის ფედერაციაშიც მიმდინარეობს ახალი ისტორიული ერთობის – Россияне-ს ჩამოყალიბების მცდელობა. რუსეთის ფედერაცია თავისი განუყოფელი გავლენის სფეროდ მიიჩნევს СНГ-ს და ორივე მიმართულებით არ ჰყოფნის შესაძლებლობები (აღვნიშნავ იმასაც, რომ Россияне შესაძლოა, მეტნაკლებად წარმატებული ექსპერიმენტი აღმოჩნდეს, თუ რუსეთი სრულ დეზინტეგრაციას გადაურჩება).

რუსეთი, შესაძლოა აღმოჩნდეს არჩევანის წინაშე. ან ეცდება შეაჩეროს საკუთარი დეზინტეგრაციის პროცესი (რამდენიმე რეგიონის შელევის ხარჯზე), ან წავა არაბიზაციის გზით (მ სორცეზე, რაც დარჩება СНГ-დან, საკუთრივ რუსეთის ფედერაციის ჩათვლით).

ბოლო თვეებში საქართველო-აზერბაიჯან-უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მკვეთრ დაახლოებას რუსეთი ვერაფრით პასუხობს, ანუ, კიდევ უფრო სუსტდება.

ქართველი მოაზროვნე მერაბ მამარდაშვილი ამბობდა: „რუსეთი არსებობს არა რუსებისთვის, არამედ რუსების მეშვეობით". არაა გამორიცხული, რომ ეროვნული თვითიდენტიფიკაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით რუსებმა დაიწყონ რუსეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს შენება.

აზერბაიჯანში რუსის ჯარის არყოფნა (იმედი გვაქვს, ასევე იქნება ჩეჩნეთში), ევრო-აზიური დერეფნის კავკასიური პერსპექტივები, უკრაინისა და შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნების ჩართვა ამ პროცესში, დასავლეთის ეკონომიკური (და უკვე პოლიტიკურიც) დახმარება მნიშვნელოვნად ასუსტებს რუსეთის პოზიციებს ჩვენს რეგიონში. კავკასიას მთლიანად, ან მის ნაწილს აქვს შანსი უზრუნველყოს სტრატეგიული არჩევანი რუსეთსა და ევროგაერთიანებას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

*4. პოსტკომუნისტური ლიდერები და ნაციონალ-დემოკრატიული ძალები*

1995 წ. არჩევნები სამივე სახელმწიფოში, საპრეზიდენტო არჩევნები სომხეთში 1996 წ. და მათზე დასავლეთის სახელმწიფოების რეაქცია გვაფიქრებინებს, რომ ახლანდელი პრეზიდენტები აწყობთ მათ, როგორც სტაბილურობის ფაქტორი. ჩვენს ქვეყნებში პლურალიზმის დეკორაციაა, არის პარლამენტები ცკ-ს ფუნქციით, უმაღლეს ეშელონებში იგნორირებულია და ირღვევა კანონები, ჰყვავის მექრთამეობა, ადამიანის უფლებები სისტემატურად ირღვევა ჩვენთან, საქართველოში, ამასთანავე, ვითარდება მეტად თუ ნაკლებად არასამთავრობო ორგანიზაციები, არსებობს ნამდვილად თავისუფალი პრესა, რომელსაც, ძალიან უჭირს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მხრივ ხელისუფლების მიერ სრულად კონტროლირებად ტელევიზიასთან კონკურენცია.

სამხრეთ კავკასიაში არ მოხერხდება ლუკაშენკოს ტიპის პრეზიდენტის გამოზრდა, ამიტომ რუსეთს ურჩევნია საქმე ჰქონდეს არსებულ რეჟიმებთან, და, რა თქმა უნდა, არა მემარჯვენე ეროვნულ ძალებთან.

ყოველი მომდევნო არჩევნები ჩვენში არის ფალსიფიკაციის ტექნოლოგიის დახვეწა, რასაც შედეგად მოჰყვება დემოკრატიული პოლიტიკური სპექტრის დასუსტება. რუსეთი აფინანსებს მის მიმართ კეთილგანწყობილ პოლიტიკურ ძალებს, რასაც არ მოჰყვება დასავლეთის მხრიდან ადეკვატური ნაბიჯები. სამი ვეშაპიდან, რაზეც დგას პოლიტიკური პარტიები – ფინანსები, ორგანიზაცია, პოლიტიკური ინტელექტი – ყველაზე მძიმეა უსახსრობა, რომლის გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის ფუნქციონირება და დაგროვილი პოლიტიკური გამოცდილებაც და ინტელექტიც გამოუყენებელი რჩება.

პოლიტიკური პლურალიზმის პერსპექტივები კავკასიაში, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში, არასახარბიელოა. შესაძლებელია სამი ვარიანტი: ა) ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული რეგიონული და ცენტრალური პოსტსაბჭოთა პოლიტიკური ელიტების კონკურენციის პირობებში იქმნება ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული ხელისუფლება; ბ) ყალიბდება პოლიტიკური პლურალიზმის სპეციფიკური მოდელი – ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში მართავს ხელისუფლების პარტია ანუ სახელმწიფო აპარატი და ამასთანავე არსებობს მცირერიცხოვანი ოპოზიცია, რომელსაც რამდენიმე რეგიონში შეიძლება ჰყავდეს შედარებით მეტი წარმომადგენლობა რეგიონულ და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში; გ) ნორმალური პოლიტიკური პლურალიზმი – ორზე მეტი (რამდენიმე) პოლიტიკური პარტია ურთიერთკონკურენტუნარიანია, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ჩატარებულ ბოლოდროინდელ არჩევნებში მემარჯვენე დემოკრატების გამარჯვება, გარკვეულწილად დამაიმედებელია. ჩვენში ბოლო ვარიანტს მცირე განხორციელების შანსი აქვს დასავლეთის ორგანიზაციების სერიოზული დახმარების გარეშე.

*5. კონფლიქტების თავიდან აცილების შესაძლებლობა*

ძირითადი პოტენციურად კონფლიქტური კერები სამხრეთ კავკასიაში უკვე გაღვივებულია, საქართველოსა და სომხეთს შორის ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნების პირობებში, (რასაც, თითქოს არაფერი ემუქრება ჩვენი მხრიდან მაინც), არ ჩანს ახალი ფეთქებადსაშიში კერა. აჭარაში არის ტიპური ავტორიტარული, ამასთანავე პრორუსული რეჟიმი, მაგრამ მძიმე შედეგების მქონე დაპირისპირების პროვოცირებას ამ ქართულ რეგიონსა და თბილისს შორის ვერ შესძლებენ.

*6. ერთიანი კავკასიის შესაძლებლობა*

ერთიანი კავკასიის გარეშე ძალიან გაჭირდება სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის მიღწევა. 1920 წ. სან-რემოს კონფერენციაზე სამი – კავკასიური სახელმწიფოს შეუთანხმებლობამ დააკარგვინა სამივეს დამოუკიდებლობის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი. ჩვენი აზრით, კავკასიური ერთობის გზაზე პირველი ეტაპი საქართველო-აზერბაიჯანის ხიდი (ეკონომიკური, პოლიტიკური) უკვე მშენებლობის სტადიაშია. აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტები ამ შემთხვევაში არ არის ხელისშემშლელი. მეორე ეტაპი – ერთის მხრივ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, მეორეს მხრივ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას (სადაც ჩეჩნეთი განსაკუთრებულ როლს თამაშობს) შორის სტრატეგიული გადაწყვეტილებანი შესაძლებელია ყარაბაღის აზერბაიჯანისა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დატოვების პირობებში (ბუნებრივია, მაღალი სტატუსითა და სანდო გარანტიებით). კავკასიური თანამშრომლობის შედეგი უნდა იყოს ოსური პრობლემის მოგვარებაც. არსებობს, ამასთანავე, ხორვატიის გამოცდილებაც კრაინას დაბრუნებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორებიდან გამოყენებული იქნება ის, რომელიც არსებულ პირობებში უფრო ეფექტიანი აღმოჩნდება.

რუსეთის როლი ამ პროცესში, ჩვენი აზრით, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად და რა ხნით დარჩება იგი კავკასიაში.

ჩვენ, ქართველები, სტრატეგიული თვალსაზრისით ჩვენს მომავალს ვუკავშირებთ ჩვენს ბუნებრივ წიაღში – ევროპაში დაბრუნებას. ასეთი იყო ჩვენი ისტორიული ორიენტაცია არგონავტების დროინდელი კოლხეთიდან მოყოლებული. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არჩევანს, როცა ამის საშუალება გვქონდა, ჩვენ ჩვენი რელიგიით, კულტურით, სახელმწიფო წეს-წყობილებით ვაკეთებდით დასავლეთის სასარგებლოდ. დღესაც, ჩვენს პერსპექტივას, რუსის ჯარისაგან თავისუფალ სრულიად კავკასიაში, ან შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელ ყელზე მაინც, ვხედავთ ევროკავშირში და არა რუსეთის „ახლოაღმოსავლეთში", რადგან იქ არ არის თავისუფლების გარანტია. თავისუფლებას კი ალტერნატივა არა აქვს.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 3 ოთახიანი სუფთა ბინა 5 სართულიან კორპუსში, მე–3 სართულზე. მე–8 ლეგიონის დასახლებაში, შანდორ პეტეფის მე–3 შესახვევი. კორპუსი 9, ბ. 24. საორიენტაციო ფასი 10000$ ტელ. 78–02–79 გელა, ვალოდია

იყიდება ერთსართულიანი გარემონტებული კერძო სახლი ეზოთი. სამი ოთახით, ბუხრით. აბაზანა თავისი გამაცხელებლით, სამზარეულოთი, ფანჯრები გისოსებში. სათავსოებით. სახლს ქვემოთ აქვს მანქანის სადგომი. ზემოთ დიდი ვერანდა. ტელ. 37–77–12; 93–69–84

იყიდება პრივატიზებული ნაკვეთი კუმისის ტბასთან (1200+1100 კვმ), მოსავლიანი ხეხილით. 250 ძირი დაბალი ვაზი და სხვა ხილი. სახლი დასამთავრებელია (2 ოთახი საცხოვრებლად ვარგისი) ფასი შეთანხმებით. ტელ. 31–62–03; 39–63–54 იკითხეთ ლალი

ვცვლი ან ვყიდი ოროთახიან სუფთა ბინას, დიდი დიღომი, III მ-რ 65 კვმ საერთო ფართი, რკინის კარებით, ვცვლი ერთოთახიან ბინაზე ფულის დამატებით ან ორ ერთოთახიანზე, ისევ დიდ დიღომში. ტელ. 38–08–25 ან 37–28–81

იყიდება ოროთახიანი არასტანდარტული ბინა (16+14) ლოჯია მიშენების ხარჯზე 20 კვმ, სამზარეულო 13 კვმ, უკან მიშენება 32 კვმ, საერთო ფართი 100 კვმ. მიშენების კედლები ამოყვანილია. ბინას აქვს რკინის კარი, გისოსები (დასაკეცი), წყლის გამაცხელებელი და ტელეფონი. ვაჟა–ფშაველას მე–2 კვარტალი. მეორე სართული, ფასი 24000$ ტელ. 93–57–84; 23–53–89; 31–09–42

იყიდება თანამედროვე სტილში გაკეთებული ოფისი ალმაშენებლის გამზირზე, სასომხეთის საელჩოსთან, 2 ოთახი 12+20 ჰოლი 13 კვმ, სველი წერტილებით. გამოდგება საცხოვრებლად ან მაღაზიად. ტელ. 96–69–75

იყიდება იზოლირებული 2 ოთახიანი მაღალჭერიანი გარემონტებული ბინა წერეთლის გამზირზე მეტრო „წერეთლის“ მოპირდაპირე მხარეს, იტალიურ ეზოში, მეორე სართულზე, ტელეფონით. ტელ. 96–69–75

იყიდება ორსართულიანი კეთილმოწყობილი კერძო სახლი აივნით 11 ოთახით. საცხოვრებელი ფართი 300 კვმ. აქვს სარდაფი, 40 კვმ ეზო ყველანაირი ხეხილით და ვაზის ტალავერით. საწყისი ფასი 22000$ ტელ. 66–87–98

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას მე–7 კვარტალში, კორპუსი №1. ბინა 84. კარგად გარემონტებული, ცხრასართულიანი კორპუსის მე–7 სართულზე. წყლის გამაცხელებლით და კონდიციონერით, ჩაშენებული კარადებით. რკინის კარებით. ფასი 30000 დოლარი ტელ. 30–22–44

იყიდება ან ქირავდება 3 ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა, საერთო ფართი 120 კვმ, ლოჯია 30 კვმ, ორი სარდაფით, აივნის მიშენების პერსპექტივით. მაღალი ბელეტაჟი. გასაყიდი ფასი 65000 დოლარი, გასაქირავებელი – 800 დოლარი, არაყიშვილის ქ. №11 ტელ. 23–17–57

## ქირავდება

ქირავდება სამოთახიანი სუფთა, უავეჯო ბინა ტელეფონით, გლდანის I მიკრორაიონში, მეტროსთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22–66–30. ტარიელი

ქირავდება უცხოელზე ვეძისში, ლუქსემბურგის ქ.№30, 2 სართულიანი, გარემონტებული, კერძო სახლი ეზოთი. პირველ სართულზე 4 ოთახი ჰოლით, ბუხრის ოთახით, აბაზანა თავისი გამაცხელებლით, სამზარეულოთი, II სართულზე ხუთი ოთახი, თავის გამაცხელებლით, ფანჯრები გისოსებით, სათავსოებით, ავტოფარეხით. ფასი 1000 დოლარი. ტელ. 37–77–12; 93–69–84

ქირავდება 4 ოთახიანი ბინა გაგარინის მოედანზე კერძო სახლის I სართულზე, საწყობად ან წარმოებისათვის. ფასი 200 დოლარი. ტელ. 37–47–16

ქირავდება ხუთოთახიანი ბინა პირველ სართულზე, ეზოთი, ავტოფარეხით, სარდაფებით ქვემო ვერაზე. საერთო ფართი 200 კვმ, ფასი 2000 დოლარი თვეში. ტელ. 38–01–11

ქირავდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა ვერაზე (მელიქიშვილის 23), პირველ სართულზე. სულ 83 კვმ შემოსასვლელი ეზოდან. ფასი 100 დოლარი. ტელ. 29–33–50 ლია

ქირავდება 1,5 ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან“, სტუდენტ გოგონაზე, რომელიც იცხოვრებს დიასახლისთან ერთად. ტელ. 38–70–51

ქირავდება ვაკის პარკთან ახლოს კუთხის სამოთახიანი გარემონტებული ბინა არასტანდარტული პროექტით III სართულზე. გარაჟით და სარდაფით. ბინა გარშემორტყმულია აივნით. ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22–59–67 გია

## სხვადასხვა

ვყიდი პიანინოს „თბილისი“ ბეკერის კლავიატურით. ფასი 90 ლარი. ტ. 22–52–54 მაია

იყიდება გერმანული პიანინო „როონიში“. ფასი 1000 ლარი. იყიდება მაცივარი „ზილი“. ფასი 150 ლარი. იყიდება მაცივარი „პოლუსი“. ფასი 130 ლარი. ტელ. 38–35–59 ნანა

ვალაგებ ბინას, ვრეცხავ თეთრეულს და სხვადასხვა სახის სარეცხს. ველი ბავშვებს 3 თვიდან. ვესაუბრობ რუსულად. ვარ 21 წლის ქალიშვილი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23–09–04 ან 72–24–41

ვყიდი რკინის კარებს (მეტრო ნახევარი ორ მეტრზე), სარეცხ მანქანა „ვიატკას“ 1993 წელს გამოშვებულს, აგრეთვე ვყიდი ქართული ცეკვის ფორმებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 98–82–42; 93–65–91

ვაკეთებთ ელექტრო დანადგარების, ელექტრო აპარატების, ტექნოლოგიური ხაზების სარემონტო სამონტაჟო და გასაშვებ სამუშაოებს მაღალი ხარისხითა და გარანტიით, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. ტელ. 67–80–37 ვაჟა

ვაკეთებ რბილ გადახურვას საკუთარი მასალით; აგრეთვე ბინების რემონტს ევროპულ სტანდარტებში. ტელ. 38–88–85

იყიდება ანტიკვარული წითელი ხის ვიტრინა; გერმანული მარკის როიალი, კარგ მდგომარეობაში, ბრინჯაოს ჭაღები. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–01–11

იყიდება არყის და ღვინის ჩაჩები. მის. იოსებიძის 51. ბინა 27. ტელ. 38–76–15

იყიდება დუბაის წარმოების ახალი სამეული მასიური ხის ჩუქურთმებით მუქ ფერებში (მისაღებისათვის) ფასი 950 დოლარი. ტელ. 61–25–48 ან 61–11–39

იყიდება ტელეფონი კომუტატორი KD-18. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29–12–90

გვაქვს ახალი მტვერსასრუტი. ფასი 150 ლარი. ტელ. 67–24–35

იყიდება შექსპირის ხუთტომეული რუსულ ენაზე „ბროკჰაუზის ეფრონის გამოცემა“, 1901, საბავშვო ენციკლოპედიის ათტომეული რუსულ ენაზე ფასი შეთანხმებით. ტელ. 23–27–56

ვისაც სურს ფორტეპიანოს აწყობა ან რესტავრაცია, დარეკეთ 61–70–06.

სასწრაფოდ იყიდება როიალი კაბინეტის, შავი ფერის, ბეკერის კლავიატურით. ცნობებისათვის დარეკეთ 22–31–22

იყიდება გერმანული აკორდეონი, მუქი შინდისფერი 120 ბასიანი. ფასი 200 ლარი. ტელ. 38–88–95

იყიდება 4 კვნახევრიანი გენერატორი 380 ვოლტიანი. ფასი 600 დოლარი.

იყიდება ბორტიანი „უაზი“ 1990 წელს გამოშვებული. მუშაობს გაზზე და ბენზინზე. ფასი 2500 დოლარი. ტელ. 96–46–66

იყიდება ავტობუსი ПАЗ-672. ძრავი და სავალი ნაწილი საუკეთესო მდგომარეობაშია. ფასი 2500 დოლარი, ქრუსთავი, რუსთაველის 39. ბინა 13. ტელ. 14–27–37 (კოდი 8–24) დათო.

იყიდება ავტომანქანა „ბმვ–323“, 1985 წლის გამოშვება, ორკარიანი, ექვსცილინდრიანი. საწყისი ფასი 4000 დოლარი. ტელ. 99–72–48 ვიქტორი.

## ავტომანქანა

იყიდება ავტობუსი ПАЗ-672. ძრავი და სავალი ნაწილი საუკეთესო მდგომარეობაშია. ფასი 2500 დოლარი, ქ.რუსთავი, რუსთაველის 39. ბინა 13. ტელ. 14–27–37 (კოდი 8–24) დათო.

იყიდება ავტომანქანა „ბმვ–323“, 1985 წლის გამოშვება, ორ კარიანი, ექვსცილინდრიანი. საწყისი ფასი 4000 დოლარი. ტელ. 99–72–48 ვიქტორი.

იყიდება გაზ–53 სატვირთო ავტომანქანა დახურული ძარით. 1990 წლის გამოშვება. განარბენი 16000 კმ. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 99–99–25 (23 საათის შემდეგ).

## მილოცვა

**მერაბ ჩიჩუას** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ოჯახურ ბედნიერებას.
კობა და ქეთი

დღეს, ქართული კინოს პოპულარულ მსახიობს **ზურაბ ქაფიანიძეს** 60 წელი შეუსრულდა. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავს ბ–ნ ზურაბს იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას და მდიდარ შემოქმედებით მოღვაწეობას!
*P.S. უახლოეს ნომერში მკითხველს შევთავაზებთ ინტერვიუს იუბილართან.*


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**



**განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე**

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი**: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29–48–61, 23–53–17, 29–48–60 ფაქსი: 29–49–61

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**დაგვირეკეთ ყოველდღე:**

**93–18–41**


# ჰოროსკოპი

## 1 აპრილიდან — 5 აპრილამდე

*ვერძი (21 მარტი — 20 აპრილი)*

გახსოვდეთ, რომ 1 აპრილს ყველა ხუმრობს, ამიტომ თქვენთვის გამაღიზიანებელი ფაქტორები მორიგ ხუმრობად ჩათვალეთ და მუშაობას შეუდექით. ეს კვირა თქვენთვის ბედნიერებისა და ფინანსური წარმატების მომტანი იქნება, თუ ბახუსის მისტერიებში მონაწილეობას არ მიიღებთ. მაგრამ გაფრთხილდით და შემოსავალი თავგზას ნუ აგიბნევთ, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს აუცილებლად გულდასმით შეამოწმეთ ფინანსური დოკუმენტაციები. ამ კვირაში ყურადღება მიაქციეთ კუჭის მოქმედებას და თავი შეიკავეთ ციტრუსებისაგან, რამაც შეიძლება ალერგიული რეაქციები მოგცეთ.

*კურო (21 აპრილი — 21 მაისი)*

ასაკის მიუხედავად, ამ კვირაში იმდენად მაღალი სექსუალური აქტიურობა გექნებათ, რომ შეიძლება მარხვა დაარღვიოთ. განსაკუთრებით ეს საფრთხე გელით ოთხშაბათიდან. მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდა, გულს ნუ გაიტეხთ და აღსარებაში არ დაგავიწყდეთ ამ ფაქტის მოხსენიება. თქვენი ამგვარი სასიყვარულო აღტკინება მთვარის ავსებითაა გამოწვეული.

*მარჩიელი (ტყუპები) (22 მაისი — 21 ივნისი)*

ამ კვირაში მთლიანად ჩაიძირებით თვითანალიზში, მაგრამ ეცადეთ, სრული დეპრესიისგან თავის დასაღწევად, თქვენი ფიქრები გაუზიაროთ ვინმეს, კარგი იქნება ან თევზებს, ან კიბორჩხალას. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

*კირჩხიბი (კიბო) (22 ივნისი — 22 ივლისი)*

უფრთხილდით კოლეგებთან კონფლიქტს. ეჭვები და ჭორები ყოველთვის არ მართლდება და ნუ აყვებით ემოციებს. ითამაშეთ, მაგრამ ნუ გადაყვებით ამ საქმეს, რადგან მოგებული შეიძლება ხელიდან გამოგეცალოთ. პარასკევს არ გადასდოთ შეხვედრა, რადგან მან შეიძლება მთლიანად შეცვალოს თქვენი აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება და მიგმართოთ უფრო გაწონასწორებული, მშვიდი ნავსაყუდელისაკენ.

*ლომი (23 ივლისი — 23 აგვისტო)*

შეამოწმეთ თქვენი საქმეები, რადგან ყველაფერი წესრიგში არაა. მუშაობა შევებას მოგიტანთ. თუ შესაძლებლობა გაქვთ, იყიდეთ ძვირფასეულობა, რადგან იგი მომავალში ძალიან გამოგადგებათ. კარგი იქნება, ამ კვირაში ხილის დიეტას მიმართოთ.

*ქალწული (24 აგვისტო — 23 სექტემბერი)*

ნუ ზიხართ მთელი დღე სამსახურში. გადით ქუჩაში, გაზაფხულდა! თუ შესაძლებლობა გაქვთ, ქალაქგარეთ გაისეირნეთ. ბუნების წიაღში გონება უკეთესად მუშაობს და ოთხშაბათს შეიძლება თქვენმა იდეამ ძალიან განაცვიფროს კოლეგებიც და თქვენი უფროსებიც.

*სასწორი (24 სექტემბერი — 23 ოქტომბერი)*

თქვენმა ფანტაზიორობამ შეიძლება სამსახური დაგაკარგვინოთ, ამიტომ ყურადღებას ნუ მოადუნებთ. ყურადღება მიაქციეთ გულს, ჯანმრთელობა უპირველესია.

*ღრიანკალი (მორიელი) (24 ოქტომბერი — 22 ნოემბერი)*

შინაგანი არტისტულობა გიშველით თავიდან აიცილოთ დიდი უსიამოვნება, მაგრამ მოგიწევთ სხვებისათვის თვალში ნაცრის შესაყრელად აქტიური საქმიანობა წამოიწყოთ. თავი დაანებეთ თქვენი ნათესავების ნერვებზე თამაშს.

*მშვილდოსანი (23 ნოემბერი— 21 დეკემბერი)*

სურვილი, შეიცვალოთ რამე ცხოვრებაში, იმდენად მოგიცავთ, რომ მოსვენებას დაკარგავთ. რას იზამ, შეიცვალეთ ბინა, ცხოვრების მეგობარიც კი, მაგრამ ნუ შეიცვლით სამსახურს, რადგან შუა კვირაში თუ მაღალ თანამდებობაზე არ გადაგიყვანეს, უფროსებისაგან ჯილდო მაინც გელით.

*თხის რქა (22 დეკემბერი — 20 იანვარი)*

თქვენი ხასიათის დეპრესიულობა ხელს გიშლით წარმატებაში. დაფიქრდით, მაგრამ ამის გამო კვლავ დეპრესიაში ნუ ჩავარდებით.

*მერწყული (21 იანვარი — 19 თებერვალი)*

ნუ მოიტყუებით ხუთშაბათსა და პარასკევს მაინც, რადგან წარმატების შანსს დაკარგავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, ამ კვირაში ეცადეთ მიიღოთ ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები.

*თევზები (20 თებერვალი — 20 მარტი)*

კარგი იქნება, თუ ფიზიკურ ვარჯიშს დაიწყებთ სექსუალური ენერგიის დასაოკებლად, რადგან იგი კარგს არაფერს მოგიტანთ

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ი

ისარლიშვილი - 1 (თბილისი)

## კ

კაბელაშვილი - 29 (თბილისი - 10; ქარელი - 6; მცხეთა - 5);

კავაზაშვილი - 28 (ბათუმი - 12; თბილისი - 4; გორი - 2);

კაველაძე -37 (თბილისი - 23; მცხეთა - 7; ასპინძა - 4);

კავთლიშვილი - 26 (ლაგოდეხი - 10; თბილისი - 4; ოზურგეთი - 1);

კავკავაშვილი - 34 (გურჯაანი - 21; თბილისი - 12; თელავი - 1);

კავლელიშვილი - 25 (დუშეთი - 1; თბილისი - 24);

კავრელიშვილი - 47 (ახალქალაქი - 41; რუსთავი- 6);

კაზარაშვილი - 27 (თბილისი - 16; გორი - 2; რუსთავი - 1);

კაზეიშვილი - 32 (ჭობულეთი - 1; ხელვაჩაური - 31);

კაიშვილი - 46 (ახმეტა - 36; თბილისი - 4; ბათუმი - 3);

კაკაბლიშვილი - 39 (თელავი- 21; თბილისი - 10; ახმეტა - 4);

კაკალიაშვილი - 38 (ტყიბული - 24; ბათუმი - 2; თბილისი - 1);

კაკაური - 31 (თელავი - 20; თბილისი - 5; ბათუმი - 1);

კაკილაშვილი - 33 (თბილისი - 13; ახალგორი - 9; გორი - 6);

კაკიტელაშვილი - 29 (თბილისი - 16;ქუთაისი - 13);

კაკრიაძე - 41 (თელავი - 31; თბილისი - 6; სამტრედია - 4);

კაკუნაშვილი - 26 (თბილისი- 11; თელავი - 15);

კაკურიძე - 23 (ზესტაფონი - 6; ოზურგეთი - 6; თბილისი- 3);

კალანდარაშვილი - 44 (თბილისი - 17; ქუთაისი - 15; სენაკი - 4);

კალმახიძე - 32 (თბილისი - 24; რუსთავი - 3; აბაშა - 2);

კამალაძე - 28 (თბილისი - 8; ზესტაფონი - 5);

კანჭურიშვილი - 27 (რუსთავი - 7; ლაგოდეხი - 1; სიღნაღი - 19);

კაპრაშიძე - 30 (თბილისი - 18; გურჯაანი - 1; კასპი - 11);

კარალიძე - 49 (ჭობულეთი - 13; ბათუმი - 9; ოზურგეთი - 4);

კარაპუტაძე - 41 (ჭობულეთი - 38; ბათუმი - 1; ხელვაჩაური - 2);

კარგაძე - 21 (თბილისი - 11; ბათუმი - 7; რუსთავი - 1);

კარგიშვილი - 21 (თბილისი - 11; ბათუმი - 7; რუსთავი- 1);

კარდანახიშვილი - 26 (თბილისი - 21; გურჯაანი - 2; ადიგენი- 1);

კარდლიძე - 45 (ახმეტა - 42; გარდაბანი - 2; თელავი - 1);

კარკუსაშვილი - 29 (ლანჩხუთი - 9; მცხეთა - 7; თბილისი - 3);

კარსელიშვილი - 20 (თბილისი - 16; გურჯაანი - 2; თელავი - 2);

კარხილაური - 20 (ახმეტა - 19; თელავი - 1);

კასაბიძე - 26 (ჭობულეთი - 26);

კასიმიძე - 32 (ბათუმი - 18; ხელვაჩაური - 14);

კასპელაშვილი - 38 (თბილისი - 19; ბათუმი - 1; ახალგორი - 1);

კასრაშვილი - 27 (თბილისი - 13; რუსთავი - 8; მოსკოვის ლტოლვილი - 1);

კატაპარიაშვილი - 45 (გორი - 36; თბილისი - 9);

კაჩუხაშვილი - 29 (ქუთაისი - 15; თბილისი - 13; ჩოხატაური - 1);

კაციშვილი - 23 (თბილისი - 14; ახმეტა- 3; კასპი - 2);

კაცოშვილი - 26 (თბილისი - 24; ხონი - 2);

კაძილაშვილი - 30 (თბილისი - 20; კასპი - 10);

კახბერიძე - 38 (მესტია - 38);

კახეთელაძე - 21 (თბილისი - 15; თელავი - 2; დმანისი - 1);

კახელაძე - 37 (ადიგენი - 1; გორი - 1; ვანი - 1);

კახნიაძე - 21 (თბილისი - 21);

კახურიშვილი - 29 (თბილისი - 25; გორი - 1; ვანი - 1);

კაჯელაშვილი - 33 (თბილისი 22; მცხეთა - 7; გორი - 2);

კბილიანაშვილი- 31 (ოზურგეთი - 24; ბათუმი - 4; თბილისი - 1);

კედელაძე - 42 (გორი - 34; თბილისი - 5; ბათუმი - 2);

კევლიაშვილი - 30 (რუსთავი - 13; საგარეჯო - 7; თბილისი - 6);

კეზერაშვილი - 43 (თბილისი - 43);

კეკეიშვილი - 33 (ჭობულეთი - 33);

კეკვიაშვილი - 32 (გურჯაანი - 28; თბილისი - 2; თელავი - 1);

კეკიეშვილი - 42 (ლანჩხუთი - 13; თბილისი - 5; ჭობულეთი- 24);

კეკუსანიძე - 38 (ხელვაჩაური - 3; თბილისი - 1; ხობი - 34);

კეკუსაძე - 27 (ზუგდიდი - 11; სენაკი - 2; წალენჯიხა - 2);

კელაძე - 20 (თბილისი - 5; ჭობულეთი - 4; ქუთაისი - 4);

კენკაძე - 36 (თბილისი - 20; გარდაბანი - 4; რუსთავი - 4);

კენჭიშვილი -36 (თბილისი - 10; ბათუმი - 8; ჭობულეთი -5);

კეტაშვილი - 21 (თბილისი - 18; კასპი - 1; ფოთი - 1);

კეფაშვილი - 22 (რუსთავი - 7; თბილისი - 5; გორი - 5);

კეშელაშვილი - 30 (თბილისი - 20; რუსთავი - 10);

კეცხოველი - 33 (თბილისი - 33);

კეჭახმაძე - 46 (ლანჩხუთი - 28; თბილისი - 9; რუსთავი - 4);

კვამლაძე - 29 (თბილისი - 9; რუსთავი - 7; მარნეული - 4);

კვანტაშვილი - 23 (ახმეტა - 22; საჩხერე- 1);

კვანტაძე - 25 (თერჯოლა - 24; ლენტეხი - 1);

კვანჭახაძე - 32 (თბილისი - 29; ხაშური - 3);

კვარაკვახიძე - 45 (ბაღდათი - 16; ქუთაისი - 14; ზესტაფონი - 9);

კვარანცხელია - 24 (ოზურგეთი - 13; ლანჩხუთი - 10; წყალტუბო - 1);

კვარცხალაია - 35 (ზუგდიდი - 32; თბილისი - 3);

კვატაძე - 21 (რუსთავი - 11; თბილისი - 5; სენაკი - 2);

კვატია - 21 (თერჯოლა - 16; თბილისი - 1; ზუგდიდი - 1);

კვალინაძე - 33 (გორი - 18; ბორჯომი - 1; გურჯაანი- 1);

კვახაჭელიძე - 24 (აბაშა - 13; ზესტაფონი - 7; ახალციხე -2);

კვეკველია - 20 (თბილისი - 4; მარტვილი - 16);

კვიახიძე - 41 (ლანჩხუთი - 14; ხელვაჩაური - 5; ბათუმი- 4);

კვიჟაშვილი - 37 (ზესტაფონი - 35; თბილისი - 1; ქუთაისი - 1);

კვირიტიძე - 43 (ბათუმი - 4; შუახევი - 1; ხელვაჩაური - 38);

კვირკელია - 49 (სენაკი - 16; თბილისი - 10; ზუგდიდი - 9);

კვირკვილია - 22 (თბილისი - 4; ქუთაისი - 4; ზესტაფონი - 1);

კვირკვინია - 21 (ზუგდიდი - 8; ბათუმი - 4; გარდაბანი - 1);

კვირტიძე - 27 (დედოფლისწყარო - 14; ბათუმი - 4; თბილისი - 4);

კვიცაშვილი - 45 (ახმეტა - 24; გორი - 11; თბილისი - 6);

კვიწინაშვილი - 36 (დედოფლისწყარო - 14; თბილისი - 9; ლაგოდეხი - 7);

კვნიწაშვილი - 23 (თიანეთი - 19; თბილისი - 3; რუსთავი -1);

კიგრიაშვილი - 45 (გორი - 45);

კივნიშვილი - 49 (ახმეტა - 35; თბილისი - 4; ლაგოდეხი - 4);

კიკლიაშვილი - 26 (ახმეტა - 19; თბილისი - 7);

კიკოზაშვილი - 49 (თბილისი - 46; სენაკი - 1; ქარელი - 1);

კიკოლეიშვილი - 22 (თბილისი - 5; თელავი - 1; საგარეჯო - 1);

კილასონიძე - 23 (თბილისი - 10; ახალციხე - 7; რუსთავი - 2);

კილოსანიძე - 22 (თბილისი - 16; კასპი - 6);

კიმოთიძე - 21 (თბილისი - 9; თელავი - 6; რუსთავი - 6);

კინკრიაშვილი - 23 (გორი - 17; თბილისი - 5; კასპი - 1);

კინწურეიშვილი - 28 (ფოთი - 12; თბილისი - 4; ხობი- 12);

კიტრიშვილი -38 (თბილისი - 27; დუშეთი - 6; კასპი - 2);

კიწბაბაშვილი - 46 (თბილისი - 19; დუშეთი - 1; ყვარელი - 26);

კიწურაშვილი - 22 (სენაკი - 6; თბილისი- 2; წყალტუბო -14);

კობაშვილი - 20 (თბილისი- 11; თელავი-2; აბაშა - 1);

კობზონაძე - 28 (ამბროლაური - 11; თბილისი- 4; რუსთავი - 3);

კობოსნიძე - 46 (თბილისი - 21; ქუთაისი - 14; რუსთავი- 4);

კობრეიშვილი - 47 (თელავი - 38; თბილისი - 4; ახმეტა - 2);

კოდანაშვილი - 22 (თბილისი - 16; ჭობულეთი - 5; ქუთაისი - 1);

კოდაშვილი - 22 (თელავი - 10; დუშეთი - 4; ახმეტა - 2);

კოდოშვილი - 43 (გორი -35; ბათუმი - 1; ზესტაფონი - 1);

კოზაკიშვილი - 27 (თბილისი - 8; სიღნაღი - 19);

კოზაშვილი - 30 (თბილისი - 18; რუსთავი - 10; ქარელი - 1);

კოზონაშვილი - 26 (თბილისი - 4; გორი - 3; რუსთავი -2);

კოკიაშვილი -37 (თბილისი - 10; ქუთაისი - 10; ლაგოდეხი - 6);

კოლელაშვილი - 43 (ბოლნისი - 28; თბილისი - 15);

კომერაშვილი - 26 (თბილისი - 15; კასპი - 10; მცხეთა - 1);

კონაშვილი- 22 (თბილისი - 10; თელავი - 12);

კონწლიაშვილი - 32 (თბილისი - 12; მცხეთა - 9; სამტრედია - 5);

კოპინაძე - 45 (ბათუმი - 17; ხელვაჩაური - 28);

კოჟიაშვილი -34 (თბილისი - 24; ბათუმი - 3; ზუგდიდი - 1);

კორბესაშვილი- 45 (თბილისი - 17; ყვარელი - 12; რუსთავი - 7);

კორინთლიშვილი - 20 (სიღნაღი - 20);

კორღალიძე -38 (თბილისი - 30; თეთრიწყარო - 2; ლანჩხუთი -2);

კორხელი - 41 (თბილისი - 12; კასპი - 12; მცხეთა - 17);

კორხიბაშვილი - 28 (ყაზბეგი - 17; თბილისი - 10; წყალტუბო - 1);

კოსოლიძე - 25 (ბათუმი -3; ხელვაჩაური - 22);

კოსტანიშვილი - 35 (ახალციხე - 31; ადიგენი - 1; გურჯაანი - 1);

კოღერაშვილი- 41 (კასპი - 41);

კოჩალაძე - 29 (ბათუმი - 10; ადიგენი - 8; ასპინძა - 4);

კოჩიშვილი - 40 (თბილისი - 29; გორი - 4; რუსთავი- 3);

კოჭაური - 21 (თელავი - 8; ახმეტა - 4; ზუგდიდი - 3);

კოჭლოშვილი - 48 (თელავი - 39; თბილისი - 8; ყვარელი - 1);

კოხაშვილი - 22 (თბილისი - 9; საგარეჯო - 5; სიღნაღი - 8);

გაგრძელება იქნება

# კიდევ ერთი ქართველი გინესის რეკორდების წიგნში

შაბათს, თბილისში, სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს" საკონცერტო დარბაზში ღირსშესანიშნავი მოვლენის მხილველები გავხდით: ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენმა, მცხეთელმა ბესიკ ალიბეგაშვილმა თავისებური რეკორდი დაამყარა. მან გააუმჯობესა სისწრაფისა და გამძლეობის ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა, სახელდობრ, ზურგზე წოლილა მდგომარეობიდან ზეტანის (კორპუსის) წამოწევა და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. მსოფლიო რეკორდი, რომელიც 2806 ვარჯიშს შეადგენდა ერთ საათში, ალიბეგაშვილმა 2945 ვარჯიშამდე საათში გაზარდა, რითაც იგი მეოთხე ქართველია, ვინც მოხვდება გინესის რეკორდების წიგნში მაია ჩიბურდანიძის, ჯუმბერ ლეჟავას და გოდერძი მახარაძის შემდეგ.

მაია ჩიბურდანიძე გინესის წიგნში აღმოჩნდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში (17 წლის); ჯუმბერ ლეჟავა გინესის რეკორდსმენი იყო ასევე სისწრაფისა და გამძლეობის ერთ-ერთ ვარჯიშში. გოდერძი მახარაძის წარმატება კი განსაკუთრებულია - მან თბილისის ეროვნულ სტადიონზე 8 საათის, 12 წუთისა და 25 წამის განმავლობაში თავით 64 ათასჯერ აკენწლა ბურთი და ბურთის ფლობის ტექნიკაში გინესის რეკორდების წიგნში დაიმკვიდრა ადგილი.

ეს რეკორდი არ იქნებოდა, რომ არა სპონსორებისა და ენთუზიასტების დახმარება. ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა კლუბი „გიორგი" და მისი ხელმძღვანელი, დიდი ენთუზიასტი ბ-ნი გვანჯი მანია. ქართულ-გერმანულმა სააქციო საზოგადოება სპორტკომპლექსმა „ლაგუნა-ვერამ" მთელი წლის განმავლობაში დაუთმო სპორტსმენს თავისი დარბაზი სავარჯიშოდ.

ღონისძიების სპონსორი იყო საქართველოს კერძო საკუთრების დაცვის ლიგა (პრეზიდენტი ბ-ნი რომან გოცირიძე), აგრეთვე კომპანია „ალბატროსი", რომლებმაც სპორტსმენს ფინანსური დახმარება გაუწიეს.

საზეიმო ცერემონიალზე გულისტკივილით ითქვა, რომ თბილისი წალეკა სიგარეტისა და არაყის უგემოვნო და ძვირადღირებულმა რეკლამებმა, ერის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში ფულის ჩადება კი ყველას ენანება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შორს არაა ის დღე, როცა ქართველი მეწარმეები, საკუთარი შემოსავლების გარდა, კეთილ საქმეთა ხელშეწყობაზეც იფიქრებენ.

**მანანა ბაბუნია**

# კაიფვორდი



**მწოლიარედ:** 1. „რუსის" ავტობუსი; 3. ცერცვის შესაყრელი ადგილი; 8. „მადის" მომგვრელი ტუჩების საცხი; 9. „ნიკის" წვეულება; 12. „ჩიტი, რომელსაც „შია და შია"; 13. შედეგია გაჭყლეტილი „ვარია"; 14. მარტოსულის სიმღერა; 16. ის, რაც „ბრმას" არ ჭირდება; 17. „ორი ქალის" მათრობელა წვენი; 18. „შინელში" გახვეული მოჩვენება; 19. „დეას" აზრი; 21. „სასიამოვნო" აბანო; 25. „მერცხალის ხალიანი" ფრინველი; 26. „ირმების" სანავარდო; 28. საჭმელი „ყური" (რუს.კავშ.); 29. „ხალიანი" ბოსტნეული; 30. „გურის" დასამღერი; 31. „ძალით" გაბმული ლარები საკრავზე; 32. უძირო გუდა; 33. „ის ანის" რაიონია; 34. თითით საჩვენებელი ნაცვალსახელი.

**მდგომიარედ:** 2. „ნათიას კაკა"; 4. „მოეშვი", თორემ ხმალივით მჭრელია; 5. მდინარე რუსეთში, რომელიც ერთ ქალს ეკუთვნის; 6. „მადიანი" და „რიდიანი" ხალხის ქალაქი; 7. ამ ქალაქში ბევრს გაუთხარეს „სამარე"; 8. იატაკზე დასარტყმელი „წყვილი კეტი" (რუს.კავშ.); 9. „პირის ბადე"; 10. „კაპიკია ლარის" ფასი; 11. ზოგს თავის მაგიერ რომ აბია; 15. გაზაფხულდა, „ია გუნდად" ამოსულა; 20. მომაკვდავი „კაცის" საწოლი; 22. „ია დონში" ჩაძირულა; 23. მდინარე, რომელიც მთელ ხეობას „გვის" და ასუფთავებს; 24. თავშესაქცევი სანახაობა; 25. „ხარის" ღონის ადამიანის ნაწილი; 27. ნათესაური კავშირი.

ნუნუ ლოლაშვილი

## ნინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

მწოლიარედ: 1. რუსუდანი; 4. მარშალი; 9. ასთმა; 10. მელია; 11. იახტა; 12. ამაო; 13. საბაწი; 15. სათვალე; 16. საარი; 18. თითა; 20. დალი; 21. ბუზი; 22. ასმათი; 24. საუნა; 25. სამარა; 27. იარა; 28. რუ; 29. მადლი; 30. ოპერაცია; 31. პიკნიკი; 32. ფარი.

მდგომიარედ: 2. სამოთხე; 3. დელია; 4. მახათა; 5. შამელი; 6. ლაოსი; 7. ბანანი; 8. სილა; 14. დელიკატესი; 15. სტუმარი; 16. სათაფლია; 17. დალალი; 18. თათი; 19. კასტილი; 21. ბაზარი; 23. მარაო; 26. ქუჩა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444